პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 14 დეკემბერი, 1947 წ. № 248 (8032). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მეხილეობის აღმავლობისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).
კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (1-ლი გვერდი).
თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (მე-2 გვერდი).
მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ხილი! (მე-2 გვერდი).
ხუთწლედი — ოთხ წელიწადში! (მე-2 გვერდი).
ზაქარია ფალიაშვილი (მე-3 გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მეხილეობის აღმავლობისათვის

მეხილეობა საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ქართული ხილი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. სხვა კულტურებთან ერთად საქართველოში მეხილეობის განვითარებას სერიოზული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა შემდგომი გაძლიერებისათვის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი დიდ ყურადღებას აქცევენ მეხილეობის განვითარების საქმეს. ყოველწლიურად შენდება ჩვენს რესპუბლიკაში ხეხილის ახალი ბაღები. 1947 წლის 1 იანვრისათვის ხეხილის ბაღებს 80.686 ჰექტარი ეჭირა. მიმდინარე წელსაც წარმატებით შესრულდა ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 14 ათასი ჰექტარი ახალი ბაღების გაშენება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მეხილეობის რაიონების მუშაკებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრ ადგილას შეასუსტეს ყურადღება ხეხილის ბაღების მოვლისადმი. დროულად არ ხდება ბაღების დამუშავება. სუსტად იბრძვიან ხეხილის ნარგავების მავნებლებისა და მცენარეთა დაავადების წინააღმდეგ. ბაღებში თითქმის არ შეაქვთ, ან ძალიან მცირე რაოდენობით შეაქვთ ორგანული სასუქები. დიდია ბაღების სიმეჩხრე. მაგალითად, გორისა და სტალინირის რაიონებში ბაღების მეჩხერიანობა საშუალოდ 12-15 პროცენტს აღწევს. სტალინირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 9 ჰექტარი ბაღიდან ნახევარზე მეტი დაიღუპა მოუვლელობით. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის ამავე რაიონის სოფელ კურტის და ვაკ-კაუს კოლმეურნეობებში. ხეხილის ბაღებს არ უვლიან გორის რაიონის სოფელ შინდისის, ტყვიავის, დიცის, კეციხურას, ყელქცეულის კოლმეურნეობები. ამიტომაც აქ ხილის მცირე მოსავალს იღებენ. არადამაკმაყოფილებელია მუშაობა ხეხილის დარგში ახალი მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოსაყვანად. საჭიროა გორისა და სკრის საცდელმა სადგურებმა გააუმჯობესონ მუშაობა. სასელექციო საქმეს მეხილეობაში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს.

სერიოზული ნაკლოვანებანი მეხილეობაში ჩვენი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის ორგანოების, კოლმეურნეობების მხრივ ამ საქმისადმი უყურადღებობის შედეგია. აქედან გამომდინარეობს ამოცანა — გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა მეხილეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, უზრუნველვყოთ ხეხილის ბაღების საუკეთესო მოვლა-დამუშავება, გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა ხილის მოსავლიანობის ასამაღლებლად.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ გორის რაიონის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების მიმართვას საქართველოს მეხილეობის რაიონების მშრომელებისადმი. გორელი მეხილეების წინადადებაა მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ახალი ხუთწლედით მოცემული დავალების ვადამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გორელმა მეხილეებმა სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს. მათ პირობა დადეს, რომ უახლოეს ხანში გამოასწორებენ ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავებაში არსებულ ნაკლოვანებებს, საუკეთესოდ მოუვლიან ბაღებს, 1948 წელს მსხმოიარე ასაკის ხეხილის თვითეულ ჰექტარზე რაიონში მოიყვანენ სულ მცირე 50 ცენტნერ ხილს.

გორელ კოლმეურნეთა ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია. მათი მოწოდება გაისმის იმ სასიხარულო დღეებში, როცა ლენინგრადელთა მიმართვის საფუძველზე ჩვენი დიადი ქვეყნის ფაბრიკებსა და ქარხნებში დაიწყო შესანიშნავი მოძრაობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. ლენინგრადელთა პატრიოტული თაოსნობა მხურვალე გამოხმაურებას პოულობს საკოლმეურნეო სოფელშიც. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია გორელ კოლმეურნეთა წერილიც. ეს წერილი ბევრ რამეს ავალებს მეხილეობის რაიონების მუშაკებს.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გორელთა წერილი გავაცნოთ თვითეულ მეხილე კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის თვითეულ მუშას, მეხილეობის დარგის სპეციალისტებს. ამ საკითხზე მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებით უნდა უზრუნველვყოთ ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ბრიგადისა და რგოლის აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. აუცილებელი იქნება პერიოდულად მოვაწყოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება, წავახალისოთ მოწინავენი, დავეხმაროთ ჩამორჩენილებს დაეწიონ მოწინავეებს.

მთავარი ამოცანა მეხილეობაში ის არის, რომ ლიკვიდირებულ იქნას აგროტექნიკის დარღვევები ხეხილის ნარგავების მოვლაში. ბაღების დამუშავება, ნაკელის, კომპოსტის, მინერალური სასუქების შეტანა ნიადაგში, ხეხილის ნარგავის გასხვლა, მორწყვა, რემონტი, ცოცხალი ღობისა და ქარსაცავი ზოლის გაშენება უნდა ჩავატაროთ დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის XV პლენუმმა მეხილეობის რაიონების მუშაკთა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად დასახა უახლოეს ორ წელიწადში მიღწეულ იქნას ხეხილის ნარგავების დაავადების ძირითადი კერების ლიკვიდაცია. პლენუმის ეს დადგენილება ბოლშევიკურად უნდა განვახორციელოთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას. საჭიროა კოლმეურნეობებში მოეწყოს მეხილეობის სპეციალური ბრიგადები და რგოლები, მათ მიემაგროს ხეხილის ბაღების ნაკვეთები 5-7 წლის ვადით. ბრიგადებისა და რგოლების შიგნით ფართოდ უნდა დაინერგოს ხილის ნარგავების მიჩენა ცალკეული კოლმეურნეებისათვის, რაც კიდევ უფრო დააინტერესებს მათ აამაღლონ ბაღების მოსავლიანობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1947 წლის 21 მარტს ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა მიგვითითა:

„ხეხილის ნარგავები, განსაკუთრებით სამრეწველო მებაღეობის რაიონებში, ისეთივე ყურადღებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც ციტრუსოვანი ნარგავები სუბტროპიკულ რაიონებში".

ამხანაგ ჩარკვიანის ეს მითითება საფუძვლად უნდა დავუდოთ მთელს მუშაობას მეხილეობის განვითარების დარგში.

გორელები თავიანთ მოწოდებაში სწერენ: „სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღმავლობის დიადი სტალინური პროგრამით შეიარაღებულნი, სტალინური ზრუნვით და ყურადღებით აღფრთოვანებულნი, გორის რაიონის კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტები ვიძლევით საბჭოთა პატრიოტების ურყევ სიტყვას, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ბაღების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას.

მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი რაიონის ბაღები და მინდვრები გადაიქცნენ უხვმოსავლიანად მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის".

მთელი ძალით ვიბრძოლოთ მეხილეობის ახალი აღმავლობისათვის, მხარი დავუჭიროთ გორელ კოლმეურნეთა პატრიოტულ ინიციატივას!

მოწინავე რკინიგზელები—საგზაო საპატიო დაფაზე

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და რკინიგზელთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტის გადაწყვეტილებით ახალი სტალინური ხუთწლედის დასაწყისიდან ყველაზე მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საგზაო საპატიო დაფაზე შეტანილი არიან:

გ. პატარქალაშვილი — თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი ელექტროშემდუღებელი, რომელმაც უკვე გაანაღდა 11 წლის ნორმა; ბ. ხმიადაშვილი — იმავე დეპოს ზეინკალი, შეასრულა 7 წლისა და 2 თვის ნორმა; ბოგველი — თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი ელექტროშემდუღებელი, შეასრულა 6 წლისა და 7 თვის ნორმა; ა. ქურდაძე — იმავე დეპოს სტახანოველი ელექტროშემდუღებელი, შეასრულა 6 წლისა და 1 თვის ნორმა; გ. ნანიკაშვილი — თბილისის სამგზავრო-სავაგონო უბნის ზეინკალი, შეასრულა 5 წლისა და 8 თვის ნორმა; გ. კვახაძე — იმავე უბნის ზეინკალი, შეასრულა 5 წლისა და 4 თვის ნორმა; ნ. ფომინი — იმავე უბნის დურგალი, შეასრულა 5 წლისა და 6 თვის ნორმა და ზ. ხეჩუაშვილი—თბილისის საორთქლმავლო დეპოს მჭედელი, შეასრულა 5 წლისა და 8 თვის ნორმა.

საგზაო საპატიო დაფაზე შეტანილი არიან აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს მჭედელი მ. ინჯიაშვილი, იმავე დეპოში მომუშავე მეურნევე ვ. ურსოვი და ელექტროშემდუღებელი ვ. ბერიაშვილი.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 დეკემბერს

ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 445 საარჩევნო ოლქი

ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი

რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

13 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ჩატარდა თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 445 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომაზე დასასწრებლად თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატისა და ქალთა 27-ე საშუალო სკოლის კოლექტივებმა.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. მახარაძემ. იგი ამბობს:

— როგორც იცით, ხორცკომბინატის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი და სთხოვა მას დათანხმებულიყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი ეყარა ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 445 საარჩევნო ოლქში.

ამხანაგმა ანასტას ივანეს-ძე მიქოიანმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა. მიღებულია დეპეშა, რომ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი თანახმაა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 445 საარჩევნო ოლქში.

ამ ცნობას სხდომის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სიტყვას იღებს მასწავლებელი ტ. გოჩოლეიშვილი.

— ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანის თანხმობა,—ამბობს იგი,—კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე აღფრთოვანებს არა მარტო ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს, არამედ დედაქალაქის ყველა მშრომელს. ამხანაგი მიქოიანი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლია. მე ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხ. ა. ი. მიქოიანი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ხორცკომბინატის მთავარმა ინჟინერმა თ. დავაშვილმა სთქვა:

— კოლექტივი ჩვენი კომბინატისა, რომელიც ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სახელს ატარებს, ცდილობს თავდადებული მუშაობით გაამართლოს ეს სახელი.

ამხანაგი მიქოიანი მთელ თავის ენერგიას ახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს. ამიტომ ჩვენი კომბინატის კოლექტივი, რომელმაც ამხანაგი ანასტას მიქოიანი წამოაყენა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ერთსულოვნად მისცემს მას ხმას.

სტახანოველი ამხ. ა. ილინსკი ამბობს:

— ჩვენ შევეცდებით გავამართლოთ ამხანაგ მიქოიანის ნდობა. ხორცკომბინატის კოლექტივის სახელით პირობას ვიძლევი, რომ ჩვენ მიერ ნაკისრ საწარმოო ვალდებულებებს ღირსეულად შევასრულებთ.

მასწავლებელი ქალი თ. ლიპარტელიანი სხდომას მოუთხრობს იმ უდიდესი სიხარულის შესახებ, რაც გამოიწვია სკოლის კოლექტივში ანასტას ივანეს-ძე მიქოიანის თანხმობამ კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე. მასწავლებელთა კოლექტივის სახელით იგი პირობას იძლევა შემდეგშიც ძალების დაუზოგავად იმუშაონ ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება—რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 445 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის № 229 საარჩევნო ოლქი

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ხელოვნების მუშაკთა სახლში გუშინ შესდგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების ბერიას რაიონის № 229 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომას კომისიის წევრებს გარდა დაესწრნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რადიოქარხნის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, საქართველოს მწერალთა კავშირის და ამ ოლქის ტერიტორიაზე მდებარე სხვა დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლები, პრესის მუშაკები.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. პ. ჯანაშიამ.

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ თანამშრომელთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ,—ამბობს იგი,—თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი და სთხოვა მას დათანხმებულიყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი ეყარა ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის № 229 საარჩევნო ოლქში. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი დათანხმდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

დამსწრენი ამ ცნობას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ი. ვეკუას.

— კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, —ამბობს იგი,—მტკიცედ ახორციელებს დიდი სტალინის ყველა მითითებას. მას ქართველი ხალხი ახალ-ახალი გამარჯვების გზით მიჰყავს. საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მძლავრ აღმავლობას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობს. ვთხოვ საოლქო საარჩევნო კომისიას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ამხ. ვეკუას ამ სიტყვებს დამსწრენი მოწონების ტაშით შეხვდნენ.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მწერალი შ. დადიანი:

— ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებას,—ამბობს იგი,—როგორც დედაქალაქის ყველა ამომრჩეველი, ისე ქართველი საბჭოთა მწერლები ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ. ამხანაგ ჩარკვიანის სახით ჩვენ გვყავს ხელმძღვანელი, რომელმაც თავისი უანგარო მუშაობით ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს. ამხანაგ ჩარკვიანისაგან დიდად არიან დავალებული მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები და, კერძოდ, ქართველი მწერლები. თვითეული ჩვენგანი ერთსულოვნად მისცემს ხმას კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

მხურვალე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა ექიმმა თ. უგუზაშვილმა და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ყვარელაშვილმა.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება — რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის № 229 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

მოლოტოვის სახელობის რაიონი

ფეხსაცმლის მესამე ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 142 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი კადრების დარგში **ვახტანგ ალექსანდრეს-ძე ლოლაძე**.

სისხლის გადასხმის ინსტიტუტის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 153 საარჩევნო ოლქში წამოაყენა ამავე ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძე**.

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 151 საარჩევნო ოლქში დასახელებულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **ალექსანდრე პავლეს-ძე ჯიშიაშვილი**, № 152 საარჩევნო ოლქში ამავე ინსტიტუტის დირექტორი **გიორგი გრიგოლის-ძე აბაშიძე**, № 212 საარჩევნო ოლქში — ინსტიტუტის დოცენტი **ლევან ივლიანეს-ძე ანჯაფარიძე**.

სახელგამის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 147 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად წამოაყენა სახელგამის დირექტორი **ნიკოლოზ დავითის-ძე კიკნაძე**.

თბილისის „ოსობუნივერმაგის" კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 145 საარჩევნო ოლქში დასახელებულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში **დავით პეტრეს-ძე გოცირიძე**.

ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 143 საარჩევნო ოლქში დასახელებულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მეორე მდივანი **ივანე მიხეილის-ძე გეტაშვილი**, № 161 საარჩევნო ოლქში — ამავე ფაბრიკის დირექტორი **გრიგოლ ვართანის-ძე ტერ-ოგანეზოვი**, № 162 საარჩევნო ოლქში—ფაბრიკის სტახანოველი მუშა **თამარ მისაკის ასული შახპურადოვა**.

ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 168 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანი კადრების დარგში **სევერიან კაპიტონის-ძე ჩხარტიშვილი**, № 169 საარჩევნო ოლქში — ინსტიტუტის უფროსი ქირურგი **ოლღა გიორგის ასული ტატანაშვილი**.

მეორე საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 174 საარჩევნო ოლქში წამოაყენა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი **შალვა ივანეს-ძე ჯაში**, № 198 საარჩევნო ოლქში — ფაბრიკის სტახანოველი **კარაპეტ მიხეილის-ძე მესროპოვი**.

პირველი მექანიკური ქარხნის კოლექტივისაგან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 155 საარჩევნო ოლქში დასახელებულია მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი **შალვა რომანოს-ძე ბაქრაძე**, № 201 საარჩევნო ოლქში—ამავე ქარხნის დირექტორი **სერგი ვასილის-ძე მიხაილოვი**.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 144 საარჩევნო ოლქში დაასახელა კომკავშირის მოლოტოვის რაიკომის მდივანი **დავით გრიგოლის-ძე ჟორჟოლიანი**.

№ 8 კარტოგრაფიული ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 148 საარჩევნო ოლქში დაასახელა ფაბრიკის დირექტორი ამხ. **დიმიტრი გიორგის-ძე ჟვანია**, № 193 საარჩევნო ოლქში—ფაბრიკის სტახანოველი მუშა **ფეოდოსია მაკარის ასული იუდინა**, № 197 საარჩევნო ოლქში—სტახანოველი მუშა **ივანე სტეფანეს-ძე გორლოვოი**.

მე-16 პოლიკლინიკის კოლექტივისაგან დეპუტატობის კანდიდატად № 150 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე პოლიკლინიკის მთავარი ექიმი **კალისტრატე მიხეილის-ძე გოცაძე**.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად № 158 საარჩევნო ოლქში დაასახელა ქარხნის დირექტორი **მიხეილ გალაქტიონის-ძე კოდუა**, № 203 საარჩევნო ოლქში — სტახანოველი ხარატი **ვართან გარეგინის-ძე ამირგულოვი**, № 159 საარჩევნო ოლქში—ქარხნის ტექნიკური განყოფილების გამგე **სუმბატ ელიშეს-ძე ჯანფოლადოვი**.

მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად № 149 საარჩევნო ოლქში წამოაყენა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე **ალექსანდრე იოსების-ძე ჩიტაიშვილი**, № 219 საარჩევნო ოლქში — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ცაგარელი**.

ქალთა 23-ე საშუალო სკოლის კოლექტივისაგან საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 160 საარჩევნო ოლქში დასახელებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე **ბენედიქტე გიორგის-ძე ბარამიძე**, № 176 საარჩევნო ოლქში—ამავე სკოლის დირექტორი **ლუბა კლასიონის ასული მელაძე**, № 194 საარჩევნო ოლქში—ამავე სკოლის პედაგოგი **მავრა ზურაბის ასული გეგეჭკორი**.

ვაჟთა 22-ე საშუალო სკოლის კოლექტივისაგან დეპუტატობის კანდიდატად № 156 საარჩევნო ოლქში დასახელებულია ამავე სკოლის მასწავლებელი **მარიამ მოსეს ასული ქუმსიაშვილი**.

ფაბრიკა „გრუზსამოცვეტის" კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 157 საარჩევნო ოლქში დაასახელა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე **არტემ ივანეს-ძე დავითიანი**.

კიროვის სახელობის რაიონი

თბილისის საგალანტერეო ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 283 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგში **მიხეილ ვლადიმერის-ძე მირიჯანიშვილი**.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულის სამმართველოს კოლექტივმა საქართველოში საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 326 საარჩევნო ოლქში დაასახელა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებული საქართველოში **სერგი ვარლამის-ძე კალანდაძე**.

პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 297 საარჩევნო ოლქში დაასახელა პროფესორი **ალექსანდრე იოსების-ძე ედიბერიძე**.

ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 282 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **იონა სიმონის-ძე ჩოჩია**.

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 313 საარჩევნო ოლქში დაასახელა კიროვის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დომენტი გიორგის-ძე ეძგვერაძე**, № 302 საარჩევნო ოლქში—მუშა **მ. ს. გრიგორიანი**, № 292 საარჩევნო ოლქში — გამომწვრელი **ტატიანა ამბაკოს ასული მეტრეველი**.

„თბილვაჭრობის" კოლექტივის მიერ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 321 საარჩევნო ოლქში დასახელებულია „თბილვაჭრობის" დირექტორი **პავლე სიმონის-ძე კილასონია**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 296 საარჩევნო ოლქში დაასახელა სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს უფროსი **შალვა ვასილის-ძე აბაიშვილი**.

„საქტყემრეწვკავშირის" კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 298 საარჩევნო ოლქში დაასახელა „საქტყემრეწვკავშირის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე **სერგი იაგორის-ძე ჯებაშვილი**.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 310 საარჩევნო ოლქში დაასახელა ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსი ამხ. **ევტიხი ლავრენტის-ძე ხომერიკი**.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. გამოშვებულ იქნას სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხი 20 წლის ვადით, წლიური 3%-ით, მოსახლეობაში გასავრცელებლად.

სესხის პირველი თანრიგი ერთი მილიარდი მანეთის რაოდენობით გამოშვებულ იქნას 1947 წლის დეკემბერში.

2. სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები და მათი შემოსავალი მოგებათა სახით განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისაგან.

3. დაწესდეს, რომ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები თავისუფლად გაიყიდება და იყიდება.

4. დამტკიცდეს სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის გამოშვების პირობები, წარმოდგენილი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ.

5. მიენდოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ორგანოებისა და შემნახველი სალაროებისათვის გამოსცეს ინსტრუქცია სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის გავრცელების წესის შესახებ.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ

სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის გამოშვების პირობები

1. სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხი გამოშვებულია ცალკე თანრიგებად ყოველ თანრიგში ერთი მილიარდი მანეთის რაოდენობით 20 წლის ვადით, 200 და 100 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად. 100 მანეთის ღირებულების ობლიგაცია წარმოადგენს ორასმანეთიანი ობლიგაციის ნახევარს.

სესხის თვითეული თანრიგი განიყოფება 100 ათას სერიად (№ 000001-დან № 100.000-მდე); თვითეულ სერიას აქვს 10.000 მანეთის ობლიგაცია—№ 01-დან № 50-მდე).

2. სესხის ობლიგაციების შემოსავალი გადახდილ იქნება მოგებათა სახით 100.000, 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400 მანეთის რაოდენობით 200 მანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით, რომელიც დაიფარება მისი მოგების გადახდისას (100 მანეთის ღირებულების ობლიგაციაზე გადახდილ იქნება მოგების ნახევარი).

3. ყოველწლიურად სწარმოებს სესხის მოგებათა 6 ტირაჟი—სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებულ ვადებში, და ერთი დამატებითი ტირაჟი — ყოველი წლის 30 სექტემბერს, დაწყებული 1948 წლის 30 სექტემბრით, ხოლო სესხის მთელი ვადის განმავლობაში სწარმოებს მოგებათა 120 ძირითადი და ოცი დამატებითი ტირაჟი.

მოგებანი, რომლებიც ობლიგაციებს ხვდა ძირითად ტირაჟებში, გადახდილ იქნება დამოუკიდებლად ობლიგაციების შეძენის ვადისა. დამატებით ტირაჟებში მოგებული თანხა გადახდილ იქნება იმ პირობით, თუ ობლიგაცია შეძენილია შემნახველ სალაროში სულ მცირე 9 თვით ადრე დამატებითი ტირაჟის ვადამდე, ე. ი. იმ წლის წინა კალენდარული წლის განმავლობაში, როცა დამატებითი ტირაჟი სწარმოებს, ან ამ ვადაზე ადრე.

4. მოგებათა ტირაჟებში სესხის ყოველ თანრიგზე ერთი მილიარდი მანეთის რაოდენობით გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

მოგების რაოდენობა 200 მანეთიან ობლიგაციაზე	მოგებათა რაოდენობა ერთ ტირაჟში		მოგებათა რაოდენობა სესხის 20 წლის ვადაში		
	ძირითადი ტირაჟი	დამატებითი ტირაჟი	გათამაშდება 120 ძირითადი ტირაჟით	გათამაშდება 20 დამატებითი ტირაჟით	სულ სესხში გათამაშდება
100.000 მანეთი	—	1	—	20	20
50.000 მანეთი	2	5	240	100	340
25.000 მანეთი	5	25	600	500	1.100
10.000 მანეთი	25	80	3.000	1.600	4.600
5.000 მანეთი	80	800	9.600	16.000	25.600
1.000 მანეთი	700	2.300	84.000	46.000	130.000
400 მანეთი	7.688	8.289	922.560	165.780	1.088.340
სულ:	8.500	11.500	1.020.000	230.000	1.250.000
მოგებათა საერთო თანხა ათას მანეთობით	4,650,2	11,390,6	558,024	227,812	785,836

5. დამატებითს ტირაჟებში გათამაშებულ მოგებათა მისაღებად თვითეულ ობლიგაციას აქვს 20 ტალონი (№ 1-დან № 20-მდე)—თითო ტალონი თვითეული დამატებითი ტირაჟისათვის. თვითეული ტალონი იძლევა შესაბამის დამატებით ტირაჟში შეხვედრილი მოგების მიღების უფლებას, სახელდობრ:

ტალონის №	დამატებითი ტირაჟის №	დამატებითი ტირაჟის ჩატარების თარიღი	ტალონის №	დამატებითი ტირაჟის №	დამატებითი ტირაჟის ჩატარების თარიღი
1.	1.	1948 წლის 30 სექტემბერი	11.	11.	1958 წლის 30 სექტემბერი
2.	2.	1949 წლის 30 სექტემბერი	12.	12.	1959 წლის 30 სექტემბერი
3.	3.	1950 წლის 30 სექტემბერი	13.	13.	1960 წლის 30 სექტემბერი
4.	4.	1951 წლის 30 სექტემბერი	14.	14.	1961 წლის 30 სექტემბერი
5.	5.	1952 წლის 30 სექტემბერი	15.	15.	1962 წლის 30 სექტემბერი
6.	6.	1953 წლის 30 სექტემბერი	16.	16.	1963 წლის 30 სექტემბერი
7.	7.	1954 წლის 30 სექტემბერი	17.	17.	1964 წლის 30 სექტემბერი
8.	8.	1955 წლის 30 სექტემბერი	18.	18.	1965 წლის 30 სექტემბერი
9.	9.	1956 წლის 30 სექტემბერი	19.	19.	1966 წლის 30 სექტემბერი
10.	10.	1957 წლის 30 სექტემბერი	20.	20.	1967 წლის 30 სექტემბერი

6. შემნახველი სალაროები ჰყიდიან ობლიგაციებს შემდეგი ტალონებით: № 1 და ყველა შემდგომი ტალონით, თუ 1-ლი დამატებითი ტირაჟის ჩატარების დღემდე რჩება სულ მცირე 9 თვე; № 2 და ყველა შემდგომი ტალონით, თუ მე-2 დამატებითი ტირაჟის ჩატარების დღემდე რჩება სულ მცირე 9 თვე; № 3 და ყველა შემდგომი ტალონით, თუ მე-3 დამატებითი ტირაჟის ჩატარების დღემდე რჩება სულ მცირე 9 თვე და ა. შ.

ობლიგაციებს მოშორებული ტალონები გაუქმებულად ითვლება და დამოუკიდებლად არ იძლევა დამატებითს ტირაჟში ობლიგაციის ხვედრი მოგების მიღების უფლებას.

7. იმ ობლიგაციით, რომელსაც ზედ არა აქვს სათანადო ტალონი, დამატებითს ტირაჟში ხვედრი მოგება არ ანაზღაურდება. ასეთი ობლიგაცია, როცა მას მოგება ხვდა დამატებითს ტირაჟში, რომლის ნომერი ემთხვევა არარსებული ტალონის ნომერს, იფარება ნომინალური ღირებულების გადახდით და მოგებათა როგორც ძირითადს, ისე დამატებითს შემდგომ ტირაჟებში არ მონაწილეობს.

8. ობლიგაციები, რომელთაც მოგება არა ხვდათ მოგებათა როგორც ძირითადს, ისე დამატებითს ტირაჟებში — სულ 750 მილიონი მანეთის რაოდენობით სესხის თვითეულ თანრიგში, გამოისყიდება მათი ნომინალური ღირებულებით სესხის ვადის გასვლის შემდეგ.

ობლიგაციები, რომელთაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომელნიც გამოსყიდულ უნდა იქნან მათი ნომინალური ღირებულებით, გასანაღდებლად შეიძლება წარდგენილ იქნას 1970 წლის 1 იანვრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ გასანაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ძალას ჰკარგავენ და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი

მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ხილი!

გორის რაიონის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა მიმართვა საქართველოს მეხილეობის რაიონების ყველა კოლმეურნისა და სპეციალისტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე წლის 29 მარტის ბრძანებულებამ უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი, აღაფრთოვანეს ახალი შრომითი მამაცობისათვის. ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სტალინური პროგრამის განსახორციელებლად. საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ წარმატებით შეასრულა დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით მიცემული პირობა. სოციალისტური სოფლის მეურნეობისადმი სტალინურ მზრუნველობას მშრომელებმა მძლავრი შრომითი აღმავლობით უპასუხეს.

სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვან კულტურებთან ერთად, სამრეწველო მეხილეობის განვითარების მხრივ გორის რაიონს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს რაიონებს შორის. ყოველწლიურად იზრდება ხეხილის ბაღების ფართობი. მიმდინარე წლისათვის ხეხილის ბაღები გორის რაიონში 9.000 ჰექტარს აღემატება. გორული ხილი—ვაშლი, ატამი, მსხალი თავისი მაღალი ხარისხით ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მეხილეობა ჩვენი რაიონის კოლმეურნეთა შემოსავლიანობის და შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ გორის რაიონის ბუნებრივი პირობები, რომლებიც მეტად ხელსაყრელია მეხილეობის განვითარებისათვის, ჩვენს მიერ მთლიანად ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ხილის ბაღების მოვლისა და მათი მოსავლიანობის გადიდების საქმეში საგრძნობლად ჩამოვრჩებით. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ნარგავები სათანადოდ არ არის მოვლილი და ხეხილის ბაღები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეხილეობის განვითარებას. ეს ჩვენ გვავალებს კიდევ უფრო ბეჯითად ვიმუშაოთ, სტალინურ მზრუნველობას მეხილეობის აღმავლობისათვის ვუპასუხოთ ახალი წარმატებებით.

გადავწყვიტეთ ენერგიულად ვიბრძოლოთ მეხილეობის აღმავლობისათვის, ბოლო მოვუღოთ ცალკეულ კოლმეურნეობებში არსებულ უყურადღებობას მეხილეობის საქმისადმი, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით 1948 წელს უზრუნველვყოთ ხეხილის ბაღების სანიმუშო მოვლა და მათი მოსავლიანობის საგრძნობი გადიდება.

ვებმებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენის მხრივ ვკისრულობთ ვალდებულებას:

1. კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების 9.260 ჰექტარ ხეხილის ბაღებში ჩავატაროთ ნიადაგის მთლიანი დამუშავება; ნიადაგი მოვხნათ 15-20 სანტიმეტრის სიღრმეზე გარდიგარდმო და ხეების ძირები ირგვლივ შემოვბაროთ. იქ, სადაც გარდიგარდმოდ არ მოიხვნება, გადავბაროთ მწკრივები, ამასთან ნიადაგის დამუშავებისას არ დავუშვათ ხეხილის მექანიკური დაზიანება.

2. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ბაღებში ნიადაგს შევუნარჩუნოთ ნორმალური ტენიანობა, რისთვისაც 1948 წლის 1 აპრილამდე სრულ წესრიგზე მოვიყვანოთ სარწყავი სისტემა, 1 სექტემბრამდე კი ბაღების მთელი ფართობი 3-4-ჯერ მაინც მაღალხარისხოვნად მოვრწყოთ და მორწყვის შემდეგ ნიადაგი გავაფხვიეროთ.

3. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხეხილის ბაღების 4.440 ჰექტარზე შევიტანოთ ნაკელი; აქედან მარტო 1947-1948 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში — 1.490 ჰექტარზე, დადგენილი ნორმებისა და ვადების დაცვით, ნარგავების განვითარებისა და ხნოვანების მიხედვით; ამასთან ერთად ფართოდ დავნერგოთ საკოლმეურნეო ბაღებში ბალახების თესვა მწვანე სასუქად.

4. რაიონის მეხილეობის 92 კოლმეურნეობაში მოვაწყოთ მარტივი ნაკელსაცავები იმ მოცულობით, რაც უზრუნველჰყოფს ადგილებზე დაგროვილი ნაკელის მთლიანად შენახვას.

5. 1948 წლის 1 აპრილამდე ჩავატაროთ ხეხილის გასხვლა კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღების მთელ ფართობზე; ხეხილის გასხვლაზე გამოვიყენოთ გამოცდილი კოლმეურნეები; მსხვლელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 20 დეკემბრამდე მეხილეობის ძირითად კოლმეურნეობებში გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ჩავატაროთ ხუთდღიანი კურსები და მოვამზადოთ 250 კაცი.

6. საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ხეხილის ბაღებში განსაკუთრებული ყურადღებით განვახორციელოთ ხეხილის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, სახელდობრ:

ა) ხეხილის კრონა გავწმინდოთ გამხმარი და დაავადებული ტოტებისაგან, შტამბებზე გავფხიკოთ შემხმარი ქერქი, ბაღებისა და მის ახლო მდებარე ადგილებში შევაგროვოთ მავნებლების ბუდეები და დავწვათ.

ბ) ხეხილი შევწამლოთ ძაღის ხსნარით 3.240 ჰექტარზე და მინერალური ზეთოვანი ემულსიით 2.640 ჰექტარზე, ეს სამუშაო დავამთავროთ ადრე გაზაფხულზე კვირტების გაღვიძებამდე;

გ) 1948 წლის 1 აპრილამდე ხეხილის შტამბები და დედა ტოტები შევათეთროთ კირის ხსნარით 4.140 ჰექტარზე;

დ) 500 ჰექტარ ფართობზე მოვაწყოთ ხეხილის დარხევა ცხვირგრძელა კოკრიჭამიას სამჯერ ჩამობერტყვით საფენზე, აქედან პირველი ორი დარხევა ჩავატაროთ ყვავილობამდე, ხოლო მესამე — ყვავილობის დამთავრების შემდეგ;

ე) ვაწარმოოთ ბორდო-პარიზის მწვანის და ნიკოტინ ან ანაბაზინ სულფატის კომბინირებული ხსნარით დაწესებულ ვადებში შესხურება: მსხმოიარე თესლოვანებისა — 4.140 ჰექტარზე ოთხჯერ, ახალგაზრდა თესლოვანებისა — 1.800 ჰექტარზე ორჯერ და კურკოვანი ნარგავებისა — 1.000 ჰექტარზე სამჯერ;

ვ) ნაყოფჭამიას წინააღმდეგ ხეხილის შტამბზე დამჭერი სარტყელები გავუკეთოთ 1.000 ჰექტარზე, ამასთან სისტემატურად მოვაწყოთ ჩამონაცვენი ნაყოფის (ნაქარი) შეგროვება და ბაღებიდან გამოტანა.

ხეხილის მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დროულად ჩატარებისათვის წესრიგზე მოვიყვანოთ რაიონში არსებული შესაწამლავი აპარატები და გამოვიყენოთ ისინი სრული დატვირთვით.

7. საკოლმეურნეო ბაღებში სიმეჩხერის ლიკვიდაციისათვის 1948-1950 წლებში რემონტისა და აღდგენის მიზნით ჩავატაროთ მეჩხერ ბაღებში 40.000 ძირი ნამყენის გამორგვა; აქედან 1948 წელს გამოვრგოთ 10.000 ძირი, რემონტისათვის გამოვიყენოთ მაღალხარისხოვანი სარგავი მასალა; უზრუნველვყოთ დარგული ნამყენების გახარება და ნორმალური ზრდა-განვითარება.

8. ხეხილის ნარგავებისა და მოსავლის დაცვის მიზნით 1948-1950 წლებში გავაშენოთ ქარსაცავი ზოლები 130.000 გრძივ მეტრზე, აქედან 1948 წელს — 50.000 გრძივ მეტრზე; 1948-1950 წლებში მოვაწყოთ ცოცხალი ღობე 180.000 გრძივ მეტრზე, აქედან 1948 წელს — 10.000 გრძივ მეტრზე.

ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობეებისათვის სარგავი მასალის გამოსაყვანად 1948-1950 წლებში მოვაწყოთ კოლმეურნეობებში სანერგეები 30 ჰექტარზე, აქედან 1948 წელს ქარსაცავი ზოლებისათვის — 4 ჰექტარზე და ცოცხალი ღობეებისათვის — 8 ჰექტარზე.

9. საკოლმეურნეო ხეხილის ბაღების მოვლის უზრუნველსაყოფად მეხილეობის ყველა კოლმეურნეობაში მოვაწყოთ მეხილეობის ბრიგადები და რგოლები და დავაკომპლექტოთ ისინი მეხილეობის საქმის კარგად მცოდნე კოლმეურნეებით; მეხილეობის ბრიგადებსა და რგოლებს მივამაგროთ მუდმივი მოვლისათვის ხეხილის ნარგავები 5-7 წლის ვადით. ხეხილის ნარგავებს ინდივიდუალურად მივამაგრებთ ბრიგადებისა და რგოლების შიგნით კოლმეურნეებზე — თესლოვანების ორასამდე ძირსა და კურკოვანების ხუთასამდე ძირს.

10. მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე შევამოწმოთ კოლმეურნეობებში მეხილეობის ყველა სახის სამუშაოთა გამომუშავებისა და შეფასების ნორმები და დავაწესოთ დიფერენცირებული ნორმები ბაღის ნიადაგების, ნარგავების მდგომარეობისა და სხვა პირობებთან შეფარდებით.

11. ახალი ბაღებისა და სანერგეების გაშენების ხუთწლიანი გეგმა შევასრულოთ ვადამდე, ამასთან დავიცვათ აგროტექნიკის მოთხოვნები.

12. ყველა სახის სამუშაოების აგროტექნიკით დაწესებულ ვადებში ჩატარებით 1948 წელს მივაღწიოთ, რომ რაიონში მსხმოიარე ასაკის 5.680 ჰექტარი ხეხილის ბაღის თვითეული ჰექტარიდან მივიღოთ სულ მცირე 50 ცენტნერი ხილი. ვიბრძოლებთ, რომ შემდგომში კიდევ უფრო გავზარდოთ ხეხილის ბაღების მოსავლიანობა.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საკოლმეურნეო ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს მიიღონ 1948 წელს ხილის უფრო მაღალი მოსავალი.

სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენმა შრომამ“ (თავმჯდომარე ილია ეჯაძაშვილი) ვალდებულება აიღო 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 200 ცენტნერი და 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი ხილი.

სოფელ ქიწნისის კოლმეურნეობა „ახალი შრომის“ ბრიგადირმა ვასილ გათიაშვილმა იკისრა მიიღოს 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 150 ცენტნერი, ხოლო 25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 80 ცენტნერი ხილი. ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი გულიშვილმა პირობა დადო, რომ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 80 ცენტნერ ხილს.

სოფელ ზემო ტყვიავის კოლმეურნეობა „ახალმა შუქმა“ (თავმჯდომარე ტარიელ ძამელაშვილი) ვალდებულება აიღო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 200 ცენტნერი და 60 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ხილი.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადმა“ (თავმჯდომარე ივანე ჯანიზაშვილი) იკისრა 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 200 ცენტნერი, ხოლო 45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი ხილი.

სოფელ თორტიზის კოლმეურნეობა „წითელმა თორტიზამ“ (თავმჯდომარე სამსონ ბერძნიშვილი) ვალდებულება აიღო 23 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 180 ცენტნერი ხილი.

სოფელ ქერეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი ელიკაშვილმა პირობა დადო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 150 ცენტნერი, ხოლო 28 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე — 80 ცენტნერი ხილი.

სოფელ დიდი ბერშუეთის კოლმეურნეობა „მეოთხე ხუთწლედმა“ (თავმჯდომარე ივანე ბიძინაშვილი) იკისრა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 200 ცენტნერი ხილი.

სოფელ კარბის კოლმეურნეობა „ახალმა შრომამ“ (თავმჯდომარე ზაქარია მარიამიძე) ვალდებულება აიღო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 200 ცენტნერი, ხოლო 40 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ხილი.

სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გაბო ხარიბეგაშვილი) ვალდებულება აიღო 67 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ხილი. იმ ბრიგადამ, რომელსაც კონსტანტინე ბერაშვილი ხელმძღვანელობს იკისრა 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 120 ცენტნერი ხილი.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს ბევრმა სხვა კოლმეურნეობამ, ბრიგადებმა და რგოლებმა.

კარგად გვაქვს შეგნებული, რომ დიდი მოვალეობა ვიკისრეთ. ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად სერიოზული მუშაობა მოგვიხდება. ჩვენ, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტები ძალღონის დაუზოგავად ვიმუშავებთ, რათა ღირსეულად შევასრულოთ პირობა.

სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღმავლობის დიდი სტალინური პროგრამით შეიარაღებულნი, სტალინური ზრუნვით და ყურადღებით აღფრთოვანებულნი, გორის რაიონის კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტები ვიძლევით საბჭოთა პატრიოტების ურყევ სიტყვას, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ბაღების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას.

მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი რაიონის ბაღები და მინდვრები გადაიქცნენ უხვმოსავლიანად მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

მოგიწოდებთ, ამხანაგებო, ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეხილეობის დარგში მოცემულ დავალებათა ვადამდე, მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი და მაღალხარისხოვანი ხილი!

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ დიდ სტალინს!

მიმართვა განხილული და მიღებულია სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებაზე.

ხუთწლედი—ოთხ წელიწადში!

მეტი ქვანახშირისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას ტყიბულელი მეშახტეები ქვანახშირის ამოღების გადიდებით აღნიშნავენ. ლენინის სახელობის შახტში მეორე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, რომელსაც ა. ცირეკიძე ხელმძღვანელობს დეკემბრის პირველ დეკადაში ქვანახშირის ამოღების გეგმა 117 პროცენტით შეასრულა. კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებელს იძლევა ამ უბნის ის ცვლა, რომელსაც გ. ქუმსაშვილი ხელმძღვანელობს. ცვლაში მომუშავენი ყოველდღიურ დავალებას 120-125 პროცენტით ანაღდებენ.

სტალინის სახელობის შახტში წარმატებით მუშაობს პ. ნანიკაშვილის უბანი, რომელიც ახლა 8 პროცენტით მეტ ქვანახშირს გვაძლევს, ვიდრე ნოემბერში. ამ უბანზე მომუშავე ა. ცირეკიძისა და ა. ხუჯაძის ცვლებმა დეკემბრის პირველ დეკადაში ქვანახშირის მოპოვების გეგმა 115 პროცენტით შეასრულეს. ამავე შახტში მეოთხე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა (უბნის უფროსი გ. გიორგაძე) ახალი ლავა მოამზადა და ამან დიდად შეუწყო ხელი ქვანახშირის ამოღების გადიდებას. ქვანახშირის მოპოვების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს გ. ჩიტიშვილის უბანიც.

მაგრამ არიან ჩამორჩენილი უბნებიც. ლენინის სახელობის შახტში გეგმას ვერ ასრულებს ოთხი უბანი, სტალინის სახელობის შახტში — სამი უბანი. კიდევ უფრო მეტად ჩამორჩნენ გელათელი მეშახტეები. საშახტო ორგანიზაციები მოწოდებული არიან ჩამორჩენილ უბნებზე მუშაობას მეტი ყურადღება მიაქციონ, დარაზმონ მეშახტეები დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ადიდებენ წიაღისეულის ამოღებას

დიდი შრომითი აღმავლობით აღნიშნეს ახალციხის საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დასაწყისი. ალებასტრისა და თაბაშირის ქარხნებმა, რომლებმაც წლიური საწარმოო გეგმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის გაანაღდეს, ნოემბრის დავალება შეასრულეს 108 პროცენტით.

ალებასტრისა და თაბაშირის საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ დეკემბერში. 5 დეკემბრისათვის, მაგალითად, ხუთდღიური გეგმის გადამეტებით მოპოვებული და გადამუშავებულია 200 ტონა ალებასტრი და თაბაშირი.

თანდათან აუმჯობესებენ მუშაობას დიატომიტის მომპოვებლებიც. ნოემბრის დავალება მათ 116 პროცენტით გაანაღდეს და წარმატებით მუშაობენ დეკემბერშიც.

სახამებლის ქარხნის კოლექტივმა 1 ნოემბერს გაანაღდა წლიური გეგმა და იკისრა კარტოფილის გახმობისა და გადამუშავების დამთავრება ნაცვლად 15 თებერვლისა, 20 დეკემბრისათვის. დეკემბრის პირველი დეკადის შედეგები მოწმობენ, რომ სახამებლის გამოშვების ოსტატები ამ დავალებას პირნათლად გაანაღდებენ.

ნ. ფარჯანაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1872–ზაქარია ფალიაშვილი–1947

ქართული მუსიკალური კულტურის მოამაგე

კომპოზიტორების მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, კოტე ფოცხვერაშვილის, ია კარგარეთელის და ნიკო სულხანიშვილის უანგარო მოღვაწეობით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართულ საოპერო მუსიკას, ხოლო ზაქარია ფალიაშვილის გენიამ იგი ფართო გზაზე დააყენა და დიდ შემოქმედებითს მწვერვალზე აიყვანა.

მაგონდება ჩემი პირველი შეხვედრა ზაქარია ფალიაშვილთან. ეს იყო 1912 წელს. მაშინ სახალხო სახლში ვმუშაობდი სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად. ერთ საღამოს რეპეტიციის შემდეგ ჩემთან მოვიდა უცნობი კაცი და ზაქარია ფალიაშვილად გამაცნო თავი. ზაქარია უწინ არ მენახა, მხოლოდ გამეგონა, რომ იგი გუნდის ლოტბარი იყო. მან მიამბო, რომ ოპერა ჰქონდა დაწერილი. და მთხოვა დავხმარებოდი. მე დიდი სიამოვნებით მივყევი ამ საქმეს. ზაქარიამ გამაცნო თავისი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და მუსიკალური ილუსტრაციაც დაუკრა. ამ დროიდან იწყება ჩვენი ერთობლივი მუშაობა „აბესალომ და ეთერზე“, რომელიც, მართალია, სისტემატურად არ მიმდინარეობდა.

1915-16 წელს „აბესალომის“ მესამე მოქმედება დახდგეს ქართულ კლუბში. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. 1918 წელს, როდესაც უკვე საოპერო თეატრის დირექტორი ვიყავი, ზაქარია ფალიაშვილი ისევ მოვიდა ჩემთან და თავისთან მიმიწვია. ზაქარიასთან იმ საღამოს დამხვდნენ ვანო სარაჯიშვილი და ილია ზურაბიშვილი. ზაქარია უკრავდა, ვანო თავისი წარმტაცი ხმით გატაცებით მღეროდა „აბესალომს“. ილია ზურაბიშვილი აღტაცებული უსმენდა ახალ ნაწარმოებს. ოპერა თეატრშიც მოიტანეს. მრავალი საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია ამ ნაწარმოებმა, მაგრამ თეატრის დასმა შეისწავლა იგი; შინაური რესურსებით შევქმენით დეკორაციები, შევარჩიეთ კოსტუმები, რომელთა უმეტესობა იმ დროს პეტერბურგის ოპერის ნაჩუქარი იყო. მე მხვდა ბედნიერება პირველს განმეხორციელებინა ქართული საოპერო ხელოვნების ამ შედევრის დადგმა. ზაქარია ფალიაშვილის გენიით შექმნილი მუსიკა აქამდე უბადლო ქმნილებად უნდა ჩაითვალოს ქართულ საოპერო ხელოვნებაში. მისი სურნელება დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და ჩვენი ქვეყნის მუსიკალური საუნჯის ერთ-ერთ ბრწყინვალე მარგალიტად იქცა.

უკვე ლოგინად ჩავარდნილი ზაქარია ფალიაშვილი თავისი მეორე შესანიშნავი ნაწარმოების ოპერა „დაისის“ პრემიერის დღეს მწერდა: „ძმაო ალიოშა, დღეს ლოგინში მწოლიარე განუსაზღვრელი მადლობის მეტს ვერაფერს გეტყვი. ისე იფიქრეთ, რომ ვითომ დღეს მეც თქვენთანა ვარ თეატრში და ვუმზერ იმ არაჩვეულებრივად ნიჭიერ გაშუქებას ჩემი „დაისისას“, რომელშიც პირველობა შენ გეკუთვნის!“

დიდია ზაქარია ფალიაშვილის დამსახურება ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების დარგში. მის მიერ გაკაფული გზით მიდის მთელი პლეადა ნიჭიერი ქართველი კომპოზიტორებისა, რომელნიც ახალ-ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევენ.

ალ. წუწუნავა

სტალინური პრემიის ლაურეატი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

შემოქმედებითი მეგობრობა

ზაქარია ფალიაშვილს 1908 წლიდან ვიცნობდი. მე მაშინ გუნდში ვმღეროდი, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი ფილარმონიული საზოგადოების დირექტორი იყო. ჩვენს მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა ზუბალაშვილის სახალხო სახლში, სადაც ხშირად ვმონაწილეობდი კონცერტებში. ეს კონცერტები ზაქარიას დიდ ყურადღებას იპყრობდნენ.

მახსოვს 1912 წელს ვანო სარაჯიშვილი და მე ზაქარიამ თავის ბინაზე მიგვიწვია და გაგვაცნო ნაწყვეტები ახალი ოპერიდან. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ნამდვილი მეგობრობა და აღტაცებული მუშაობა „აბესალომზე“. ზაქარია სწერდა, ჩვენ ვასრულებდით ახალ ნაწყვეტს.

მაგონდება სოსო გრიშაშვილის საღამო, რომელზეც ვანო სარაჯიშვილი და მე ვასრულებდით აბესალომისა და მურმანის დუეტს. მსმენელები აუწერელი აღტაცებით შეხვდნენ ზაქარიას ახალ დიდებულ ქმნილებას. იმ საღამოს შთაბეჭდილება დღესაც არ გამქრალა და მრავალს ახსოვს. ეს იყო დასაწყისი გენიალური ნაწარმოების შემდგომი ტრიუმფისა.

უნდა აღინიშნოს ვანო სარაჯიშვილის დიდი როლი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ შექმნაში. ვანომ შესანიშნავად იცოდა ქართული ხალხური სიმღერა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვის გამოთქმას. იგი იტყოდა ხოლმე „ისე უნდა იმღერო, რომ ადამიანს ქართული ჰანგი შიგ გულში მოხვდესო“. ვანო უკარნახებდა ზაქარიას, უმღეროდა ნაწყვეტებს.

კიაზოს სახე ოპერა „დაისში“ ჩემს მიერ არის შექმნილი. მე მუდამ ვცდილობდი ყოველი სიტყვა მიმეტანა მაყურებლამდე. თვით ზაქარია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპეციფიკურ ქართულ მეტყველებას და ყოველთვის აღნიშნავდა ვანოს და ჩემს შესრულებას.

ჩვენი მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი ულმობელმა სიკვდილმა დაარღვია. ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ დანაკლისს ვგრძნობ როგორც ვანოს, ისე ზაქარია ფალიაშვილის — ამ დიდი ხელოვანის დაკარგვის გამო.

დღეს, როდესაც ჩემს განვლილ ცხოვრებას ვიგონებ, ვამაყობ, რომ წილად მხვდა იმ გმირების პირველად განსახიერება, რომელთა შექმნაზე ისე ფაქიზად მუშაობდა ჩვენი დიდი გენიალური ზაქრო!

სანდრო ინაშვილი

რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის თეატრებში

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ოპერები ცნობილი გახდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. მისი შესანიშნავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ პირველად დაიდგა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე 1919 წელს. ოპერა დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. წუწუნავამ. შემდეგ ამ ოპერის დამდგმელი რეჟისორები იყვნენ სხვადასხვა დროს დიდი ქართველი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. მარჯანიშვილი, ა. ფალავა, შ. აღსაბაძე და მ. კვალიაშვილი.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ პირველად დადგა 1923 წელს თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრში რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კ. მარჯანიშვილმა. შემდეგი წლების მანძილზე „დაისის“ დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ა. წუწუნავას.

აღსანიშნავია, რომ „აბესალომ და ეთერი“ თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრში დაიდგა 400-ჯერ, ხოლო „დაისი“ — 350-ჯერ.

ოპერა „ლატავრა“ დასდგა 1928 წელს თბილისის ოპერის სახელმწიფო თეატრმა. იგი იდგმებოდა რამდენიმე სეზონის განმავლობაში.

ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვის დიდ თეატრში 1937 წელს ქართული ხელოვნების დეკადის დროს. ეს ოპერები გადათარგმნილ იქნა რუსულ და უკრაინულ ენებზე. „აბესალომ და ეთერი“ 1931 წელს დაიდგა ხარკოვში. 1939 წელს იგი დასდგა მოსკოვის დიდმა თეატრმა, სადაც იგი დღემდე დიდი წარმატებით სრულდება.

„დაისი“ დაიდგა 1937 წელს სარატოვში და 1939 წელს კიევში. გარდა ამისა, ეს ოპერა დასდგეს 1940 წელს ოდესის თეატრში და 1943 წელს ალმა-ატაში და ერევანში.

ზ. ფალიაშვილმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის X წლისთავზე დასწერა კანტატა, რომელიც შესრულებულ იქნა წარმატებით. მასვე ეკუთვნის მთელი რიგი საგუნდო ნაწარმოებები, რომანსები, ხალხური სიმღერების ორი კრებული. კრებულში შევიდა — „მრავალჟამიერ“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „იავნანა“ და სხვ. ყველა ეს ნაწარმოები გამოცემულია.

ქართულად გამოცემულია აგრეთვე „აბესალომ და ეთერის“ კლავირი.

სახელოვანი შემოქმედის ცხოვრების გზა

დიდი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილი დაიბადა 1872 წელს ქალაქ ქუთაისში. მას ჩვიდმეტი და-ძმა ჰყავდა. მისი მშობლები ნიადაგ შრომაში იყვნენ, მაგრამ მაინც ხელმოკლეობას განიცდიდნენ.

პირველდაწყებითი საერთო განათლება ზაქარია ფალიაშვილმა ქუთაისში სამრევლო სკოლაში მიიღო. მუსიკალური სმენით დაჯილდოებულ ახალგაზრდას მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა. რვა წლისა იყო, როდესაც პირველად იგალობეს ეკლესიაში. ნორჩმა მგალობელმა მაშინვე მოიხვეჭა სახელი და საერთო ყურადღება დაიმსახურა. მალე ზაქარია და მისი ძმა ივანე ფალიაშვილები თბილისში მიიწვიეს— ივანე ეკლესიაში ორგანის დამკვრელად, ზაქარია კი მის თანაშემწედ და მგალობლად. ამასთან დაკავშირებით 1887 წელს ფალიაშვილთა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა.

იმ დროს ლადო აღნიაშვილის გუნდს მთელ საქართველოში ჰქონდა მოხვეჭილი სახელი. მან ფალიაშვილებიც მიიზიდა. გუნდი სისტემატურად მუშაობდა თავისი რეპერტუარის გასამდიდრებლად სხვადასხვა კუთხის სიმღერებით. ამ გუნდში ყოფნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზაქარია ფალიაშვილის შემდგომი მოღვაწეობისათვის. გუნდში ძმებმა ფალიაშვილებმა 1889 წლამდე დაჰყვეს. ამ დროისათვის ზაქარია ისე დახელოვნდა ორგანის დაკვრასა და გუნდის ლოტბარობაში, რომ მომღერალთა შერჩევა დაიწყო და საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებას შეეცადა. ამავე დროს 1895 წელს ზაქარია ფალიაშვილი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში შევიდა, სადაც ვოლტორნის დაკვრას დაეუფლა და უკრავდა ორკესტრში, რომელსაც მისი ძმა ივანე დირიჟორობდა. ამავე წელს ზაქარია სათავეში ჩაუდგა მის მიერვე ჩამოყალიბებულ გუნდს და კონცერტებს მართავდა. გუნდში ორმოცამდე ქალი და ვაჟი იყო. თავისი გუნდით ზაქარია გამოდიოდა ნაძალადევში, რკინიგზის მუშათა წრეების წინაშე, ავჭალის აუდიტორიაში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ გამართულ საღამო-კონცერტებში. ამავე პერიოდში ზაქარია მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა სოფლებში და ფონოგრაფის საშუალებით იწერს ხალხურ სიმღერებს. 1899 წელს ზ. ფალიაშვილმა დაამთავრა მუსიკალური კომპოზიციის თეორიის კლასი ნ. ს. კლენოვსკის ხელმძღვანელობით „პირველი ხარისხის ატესტატის მიღების უფლებით“.

1900 წელს თბილისის სათავადაზნაურო საკრებულომ ზ. ფალიაშვილს სტიპენდია დაუნიშნა. ზაქარია მოსკოვს გაემგზავრა და ამავე წელს ჩაირიცხა კონსერვატორიაში გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ს. ი. ტანეევის კლასში. კონსერვატორიაში მეცადინეობასთან ერთად იგი დაუკავშირდა მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტებს და კვლავ გუნდის გაწვრთნას შეუდგა. ეს გუნდი დიდი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვის ეგრეთწოდებულ „ქართულ საღამოებზე“. 1903 წელს ზ. ფალიაშვილმა ფრიადზე დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია. იმავე წელს იგი თბილისში დაბრუნდა. აქ იგი თბილისის სამუსიკო სასწავლებელში მიიწვიეს, აგრეთვე ვაჟთა სათავადაზნაურო გიმნაზიაში და ქალთა გიმნაზიაში სიმღერა-მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. 1903 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით ზ. ფალიაშვილმა იმოგზაურა სვანეთში, სადაც მრავალი მეტად საინტერესო ხალხური სიმღერა ჩაიწერა.

1905 წელს ჩამოყალიბდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება, რომელმაც გადასწყვიტა საკუთარი სამუსიკო სკოლისა და გუნდის შექმნა. ეს საქმე მიენდო ზაქარია ფალიაშვილს. იგი ენერგიულ მონაწილეობას იღებს ფილარმონიული საზოგადოების მოღვაწეობაში, დირიჟორობს ფილარმონიის გუნდსა და ორკესტრს. კონცერტებზე დიდი წარმატებით სრულდებოდა ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებნი — ორკესტრისა და გუნდისათვის დამუშავებული ხალხური სიმღერები.

ჟურნალ „ფასკუნჯის“ 1908 წლის დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი პედაგოგის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის პეტრე მირიანაშვილის ლიბრეტო „აბესალომ და ეთერი“, რომელიც მან ძველი ხალხური თქმულების მიხედვით შეჰქმნა. ეს ლიბრეტო დაედო საფუძვლად ზაქარია ფალიაშვილის გენიალურ ოპერას „აბესალომ და ეთერს“.

1913 წლის 27 აპრილს თბილისში ფილარმონიული საზოგადოების საღამოზე პირველად შესრულდა „აბესალომ და ეთერის“ მესამე აქტი. დირიჟორობდა თვით ავტორი, რეჟისორი იყო კ. ანდრონიკაშვილი. საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება ოპერის ავტორს. ერთადერთი ვაჟის — ირაკლის უდროო სიკვდილმა ზ. ფალიაშვილს დიდი ხნით შეაწყვეტინა ოპერაზე მუშაობა.

1919 წლის 21 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. დადგმა განახორციელა ა. წუწუნავამ, გააფორმა მხატვარმა ზალცმანმა.

„დაისზე“ მუშაობა ზ. ფალიაშვილმა 1921 წელს დაიწყო და 1923 წელს დაამთავრა.

1925 წლის 12 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო მოღვაწეობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე. ამ თარიღს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა გამოეხმაურა. პრესამ ერთსულოვნად აღნიშნა ზ. ფალიაშვილის დიდი დამსახურება ქართული მუსიკის წინაშე. ზ. ფალიაშვილს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ზ. ფალიაშვილის უკანასკნელი დიდი ნაწარმოებია ოპერა „ლატავრა“. იგი პირველად 1928 წლის 16 მარტს დაიდგა.

ზ. ფალიაშვილი გარდაიცვალა 1933 წლის 6 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.

1937 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს ზ. ფალიაშვილის სახელი მიენიჭა.

ლადო დონაძე

დიდი ქართველი კომპოზიტორი

დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის პერიოდი მთელი ეპოქაა ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიაში. ზ. ფალიაშვილის სახელთან დაკავშირებულია მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევები და წარმატებანი ქართული მუსიკალური ხელოვნებისა. თავისი მხატვრული მსოფლმხედველობით ზ. ფალიაშვილის შემოქმედება გამოხატავდა ეროვნული აღორძინების გზაზე დამდგარი ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანთა სულისკვეთებას. მისი მუსიკალური მემკვიდრეობა მაღალი იდეებით არის შთაგონებული.

ზ. ფალიაშვილის ღვაწლის სიდიადე ული სიცხადით რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში მან იგივე როლი შეასრულა, რაც ილია ჭავჭავაძემ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. როგორც ილია ჭავჭავაძე იყო ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, ისე ზაქარია ფალიაშვილიც ღირსეულად ითვლება ახალი ქართული მუსიკალური ხელოვნების ფუძემდებლად. ორივენი დამამკვიდრებელნი არიან თანამედროვე ლიტერატურული და მუსიკალური ენისა ცოცხალი ხალხური მეტყველების ნიადაგზე.

ზაქარია ფალიაშვილი პირველი დიდი მასშტაბის ქართველი კომპოზიტორია, რომელიც ახალ ერას ამკვიდრებს ქართულ მუსიკაში. იგი ნამდვილი ნოვატორია, რომელმაც ქართული მუსიკის წინაშე დასახული მრავალი პრობლემის გადაწყვეტა შესძლო. პირველ ით პრობლემას წარმოადგენდა ქართული მუსიკის პროფესიონალიზაცია. ზ. ფალიაშვილი აღჭურვილი იყო უფრო ძლიერი შემოქმედებითი ნიჭით და ცოდნების სიღრმით, ვიდრე სხვა რომელიმე მისი თანამედროვე. იმავე დროს იგი დიდად განსხვავდებოდა მათგან ღრმა პროფესიული მიდგომით მუსიკალური შემოქმედებისადმი. სწორედ ამიტომ შესძლო მან ქართული მუსიკა პროფესიული ხელოვნების მტკიცე საფუძველზე დაემკვიდრებინა*). ეს ღრმა და პრინციპული პროფესიონალიზმი ზ. ფალიაშვილმა შეითვისა უპირველეს ყოვლისა თავისი დიდი მასწავლებლის ს. ტანეევისაგან, ხოლო მისი მეშვეობით რუსული და დასავლეთ ევროპული კლასიკური მუსიკის დიდებულ ოსტატთაგან.

ზაქარია ფალიაშვილის მხატვრული მისწრაფება მიმართული იყო ელექტიზმის სხვადასხვა ეპიგონური ფორმების წინააღმდეგ ქართულ მუსიკაში. ფალიაშვილის უშუალო წინამორბედნი და თვით თანამედროვენიც ხშირად მიმართავდნენ ნაციონალურ ხალხურ თემატიკას, მაგრამ მათ ვერ შესძლეს ნაციონალური და ზოგადევროპული ელემენტების ორგანულად შერწყმა და შეკავშირება. ფალიაშვილის შემოქმედებაში კი ამ ორმა ნაკადმა ღრმა სინთეზური განზოგადება ჰპოვა. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ამ შემოქმედებითი სინთეზის გზით ეხატებოდა „აბესალომ და ეთერის“ ავტორს ქართული მუსიკის შემდგომი აღორძინების პერსპექტივა. და უდიდესი ისტორიული აზრი ფალიაშვილის შემოქმედებისა ის არის, რომ იგი დასაწყისია ნაციონალური კლასიკური სტილის ორგანული პერიოდისა ქართულ მუსიკაში. ქართული მუსიკის ნაციონალურ იდეალებს ზ. ფალიაშვილმა ზოგადკაცობრიული ელფერი მისცა. „აბესალომ და ეთერის“ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ამ ოპერის მუსიკა ყველაზე მეტად ქართულია მათ შორის, რაც კი იმ ხანებში შექმნილა, და იმავე დროს ყველაზე უფრო ზოგადკაცობრიული.

თითქმის ყოველთვის და ყველგან კლასიკური სტილი როგორც მუსიკაში, ისე ხელოვნების სხვა დარგებში ხანგრძლივი ევოლუციის ნაყოფი იყო. ზ. ფალიაშვილის ისტორიული როლის თავისებურებას და სიდიადეს კი ის შეადგენს, რომ „აბესალომ და ეთერის“ სახით მან ქართულ საოპერო ხელოვნებას, მანამდე თითქმის არარსებულს, შესძინა ნაწარმოები, რომელიც ღრმად ნაციონალური და კლასიკური აღმოჩნდა ერთსა და იმავე დროს. „აბესალომ და ეთერი“ ღრმა კლასიკური ნაწარმოებია და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, იგი ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული.

როგორც რუსულმა, ისე დასავლეთ ევროპულმა მუსიკალურმა კულტურამ, რასაკვირველია, ბევრი რამ შესძინა და გზა გაუკაფა ზაქარია ფალიაშვილს როგორც კომპოზიტორ-ოსტატს, მაგრამ როგორც შემოქმედი ორიგინალური ქართული ოპერისა და მისი კლასიკური სტილის ფუძემდებელი, იგი არავისაგან არ იყო ისე დავალებული, როგორც ქართველი ხალხისაგან. ქართულმა მრავალსაუკუნოვანმა ხალხურმა ეპოსმა უდიდესი გავლენა იქონია ზ. ფალიაშვილის შემოქმედებაზე. მის ყველა ქმნილებაში ჩვენ ვგრძნობთ არა მარტო კომპოზიტორის დიდ ტალანტს, არამედ ხალხის შემოქმედ სულსაც. საქართველო პოლიფონიური, გუნდური კულტურის კლასიკური ქვეყანაა და ზ. ფალიაშვილი პირველი კლასიკოსი იყო ამ კულტურისა ქართულ პროფესიულ მუსიკაში. ზ. ფალიაშვილის საოპერო სტილი მის საუკეთესო ქმნილებებში საქართველოს ათასწლოვანი გუნდური კულტურის უდიდესი განზოგადებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „აბესალომ და ეთერი“. ერთი და იმავე სტიქიის ორი სხვადასხვა ნაკადის — ხალხური თქმულებისა და ხალხური სიმღერის ნიადაგზე ზაქარია ფალიაშვილი ჰქმნის ამაღელვებელი სტილის ოპერა-ტრაგედიას, რომელსაც ჭეშმარიტად ანტიკური სულიერი სიდიადე ახასიათებს. „აბესალომ და ეთერის“ ლეგენდა, რომელიც ხალხში „ეთერიანად“ არის ცნობილი, ერთ-ერთი ვარიანტთაგანია ტრადიციული თემისა სიყვარულსა და სიკვდილზე, მაგრამ სიყვარული გაგებულია კომპოზიტორის მიერ არა როგორც შმაგი ვნებიანობა, არამედ როგორც ეთიკური და ტრაგიკული ძალა. მსოფლიო საოპერო ლიტერატურაში ბევრი არ მოიპოვება ნაწარმოები, რომელიც ისეთი მაღალი ზნეობრივი პათოსით იყოს გამსჭვალული, როგორც ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“.

დიდად საგულისხმოა, რომ „აბესალომ და ეთერის“ გმირებად გვევლინებიან არა მარტო პიროვნებანი, არამედ ხალხიც. ანტიკური ტრაგედიის ხოროს მსგავსად, „აბესალომ და ეთერში“ გუნდი-ხალხი ნამდვილი გმირია ტრაგედიისა. გმირისა და ხალხის მთლიანობა, რომლის ტრადიცია ჯერ კიდევ ძველი ბერძნული ტრაგედიიდან მომდინარეობს, ჩვენს ლიტერატურაში პირველად „აბესალომის“ მუსიკაში ჰპოვებს უძლიერეს გამოხატულებას. ფართო ეპიკური მანერა წერისა, გამსაცვიფრებელი შეთავსება უდიდესი სკულპტურული და ექსპრესიული ძალოვანებისა, ფაქტურის სიმკვრივე და მონოლითურობა ცხადად მეტყველებენ „აბესალომ და ეთერის“ დიადობასა და მონუმენტურობაზე.

ზაქარია ფალიაშვილი მარტო ნაციონალურ-კლასიკური ოპერის ფუძემდებელი როდია. მანვე შეჰქმნა ნაციონალურ-რომანტიკული ოპერის ტიპიური ნიმუში — „დაისი“. ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე ერთისა და იმავე ავტორის ამ ორ ქმნილებას შორის არსებობს. თუ „აბესალომ და ეთერი“ ეპიკური სიდიადით აღბეჭდილ მუსიკალურ ტრაგედიას წარმოადგენს და ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გრანდიოზული ძეგლების მსგავსად ხალხური ეპოსის ქარაფა ქედებზეა აღმართული, „დაისი“ უმთავრესად ლირიკული დრამაა, მაგრამ არა ინტერიერის ოთხ კედელში ჩაკეტილი, არამედ ჟანრისა და პეიზაჟის მშვენიერ კოლორიტულ ფონზე გაშლილი. გრანდიოზულ მუსიკალურ ფრესკას—„აბესალომ და ეთერს“ მკვეთრად დაუპირდაპირდა ღრმად მგრძნობიერი ოპერა-პოემა, რომელიც დღემდე ხიბლავს ადამიანს თავისი სათუთი პოეტური სულით და ლირიზმით, კომპოზიციის იშვიათი მოქნილობით და ფაქიზი ოსტატობით. „დაისის“ მუსიკის ხალხური სათავე უფრო ფართოა და მრავალმხრივი, ვიდრე „აბესალომ და ეთერისა“. „დაისი“ თავისებურად აერთიანებს ქართული ხალხური სიმღერის ორ მოპირდაპირე ინტონაციურ საწყისს: სოფლურს და ქალაქურს.

სულ სხვა გეზი აქვს ზ. ფალიაშვილის უკანასკნელ ოპერას „ლატავრას“ როგორც ჟანრისა და თემატიკის, ისე მუსიკალური ენის მხრივ. იგი კვლავ ახალი საფეხურია კომპოზიტორის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში. „ლატავრას“ სახით ზ. ფალიაშვილმა განიზრახა პატრიოტულ-გმირული ოპერის შექმნა. ოპერის მთავარი გმირი ლატავრა სიმბოლიური სახეა საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და განასახიერებს მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ სულს. მაგრამ ამ ოპერის ღირსება უმთავრესად ცალკეული ეპიზოდებით განისაზღვრება და არა მთელი ნაწარმოებით.

ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებამ სახელმძღვანელო გეზი მისცა და გზა უჩვენა ქართული მუსიკის მომავალ განვითარებას. საბჭოთა პერიოდი ქართული მუსიკალური ხელოვნებისა უმჭიდროესი ძაფებით არის დაკავშირებული მის შემოქმედებით ტრადიციებთან. თანამედროვე ქართული მუსიკალური ლიტერატურის ახლო გაცნობით ნათელი ხდება, რომ ქართველ საბჭოთა კომპოზიტორებს უდიდესი წინამორბედი ჰყავთ ზ. ფალიაშვილის სახით.

მსოფლიო საოპერო ლიტერატურაში იშვიათია ნაწარმოები, რომელიც იზიარებდეს „აბესალომ და ეთერის“ ბედნიერ ხვედრს. ავტორის კუთვნილებიდან იგი სულ მალე იქცა მთელი ხალხის სულიერ საუნჯედ. ზ. ფალიაშვილს წილად ხვდა საერთოდ მუსიკოსისათვის იშვიათი ბედი; იგი სიცოცხლეშივე კლასიკოსად იქნა გამოცხადებული. ქართველ კომპოზიტორთა შორის პირველად ზ. ფალიაშვილის სახელი გასცილდა ნაციონალურ საზღვრებს და მთელ საბჭოთა კავშირში იქნა დაფასებული. პირველად „აბესალომ და ეთერის“ მუსიკამ იხილა მოსკოვის დიდი თეატრის სცენა და საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ თითქოს ხელახლა აღმოაჩინა ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელი. ამ წლებში „აბესალომ და ეთერის“ სახელოვანი შემოქმედი ტრიუმფატორად ავიდა ისეთ სიმაღლეზე, როგორზეც არ ასულა არც ერთი ქართველი ხელოვანი.

„აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ პარტიტურა დღეს უკვე საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მოწინავე საოპერო თეატრების სცენას ამშვენებს. ქართველი ხალხის არაჩვეულებრივი სიყვარული კი ზ. ფალიაშვილის მუსიკისადმი რამდენიმე სიტყვით შეიძლება გამოითქვას: მუსიკალური ხელოვნების დიდ ოსტატებს შორის საქართველოში არავინ არის ისე პოპულარული, როგორც ზაქარია ფალიაშვილი.

---

*) ქართული მუსიკალური ხელოვნების პროფესიონალიზაციის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე კომპოზიტორ დ. არაყიშვილს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის სესიაზე

გერმანიის მიმართ გამოსაყენებელი ეკონომიური პრინციპების განხილვა

საბჭოთა დელეგაცია გამოვიდა გერმანიის მრეწველობის განვითარების დასაცავად

ლონდონი, 9 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მინისტრებმა განიხილეს ბრიტანეთის წინადადებათა მე-19 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „მთელი გერმანიისათვის შედგენილ უნდა იქნას საერთო საექსპორტო-საიმპორტო პროგრამა, რომელიც მოქმედებაში 1947 წლის 1 ივლისიდან უნდა შევიდეს. როგორც კი დაარსებულ იქნება გერმანიის სათანადო ცენტრალური ადმინისტრაცია, იგი იკისრებს ამ ამოცანას. ეს პროგრამა, რომელიც შესაძლებელს გახდის მთელ გერმანიაში შინაგანი რესურსების სამართლიანად განაწილების განხორციელებას, შედგენილი იქნება ისე, რომ რაც შეიძლება მალე უზრუნველყოფილ იქნას ექსპორტის საკმაო გადაჭარბება იმპორტზე და, ამრიგად, განხორციელდეს ზემოთ მე-16 პუნქტში ჩამოთვლილი მიზნები. ეს პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ქვანახშირის ამოღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაქსიმალურ გადიდებას, საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო სისტემის აღდგენის საჭიროებას. საექსპორტო-საიმპორტო პროგრამა უნდა დაამტკიცონ კონტროლის გამწევმა სახელმწიფოებმა".

მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთის წინადადებათა ეს პუნქტი ისეა ჩამოყალიბებული, თითქოს ნავარაუდევი იყოს გერმანიაში მხოლოდ ქვანახშირის ამოღების განვითარება, გერმანიის მრეწველობის სხვა დარგებისა კი არა. საბჭოთა დელეგაციას საკითხის ასეთი დაყენება მიუღებლად მიაჩნია. საჭიროა გავიხსოვოთ, რომ გერმანია დიდად განვითარებული სამრეწველო ქვეყანაა და, რა თქმა უნდა ასეთად დარჩება, თუნდაც ეს ვისმე არ მოსწონდეს. მას აქვს მრეწველობის ბევრი დარგი, რომლებიც მეტად სასარგებლოა, როგორც გერმანელი ხალხისათვის, ისე ევროპის სხვა ხალხებისათვისაც. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გერმანია ავითარებდეს მხოლოდ ქვანახშირის ამოღებას და გადაიქცეს ქვეყნად, რომელიც მხოლოდ ქვანახშირსა და სამრეწველო ნედლეულს დაამზადებს.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, — სთქვა მოლოტოვმა, — გერმანიაში უნდა განვითარდეს მშვიდობიანი მრეწველობის ყველა დარგი, როგორც ის დარგები, რომლებიც ნედლეულს ამზადებენ, ისე ის დარგებიც, რომლებიც ამზადებენ საქონელს გერმანელი მოსახლეობისათვის და საზღვარგარეთ ექსპორტისათვის. გერმანია არ შეიძლება გავხადოთ არც ცალმხრივ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად, არც ისეთ ქვეყნად, სადაც განვითარდება მხოლოდ ქვანახშირის მრეწველობა და მრეწველობის ზოგიერთი სანედლეულო დარგი. გერმანიას ისეთი მრეწველობა აქვს, რომელსაც შეუძლია სარფიანად დაამზადოს ახალი მანქანები, ფართო მოხმარების საგნები და მზა პროდუქცია საზღვარგარეთ ექსპორტისათვის.

მოლოტოვმა წინადადება წამოაყენა შეტანილ იქნას შემდეგი შესწორება: ნაცვლად ბრიტანული ფორმულირებისა, რომ საექსპორტო-საიმპორტო „პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ქვანახშირის ამოღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მაქსიმალური გადიდების, საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო სისტემის აღდგენის საჭიროებას", ითქვას ასე:

„ეს პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ქვანახშირის ამოღების მაქსიმალური გადიდების, როგორც დამმუშავებელი, ისე მომპოვებელი მრეწველობის მშვიდობიანი დარგების, მათ შორის გერმანიის მოსახლეობისათვის საჭირო და სხვა ქვეყნებში საექსპორტო საქონლის წარმოების აღმავლობის საჭიროებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას, საარსებო პირობების გაუმჯობესებას და სატრანსპორტო სისტემის აღდგენას".

ბევინმა ზოგიერთი შენიშვნა გააკეთა და უპასუხა, რომ რამდენადაც სათანადო დებულებებს შეიცავს პოტსდამის შეთანხმება, იგი არ არის საბჭოთა შესწორების წინააღმდეგი.

ბიდომ აწეული ნერვოზული კილოთი შენიშნა, რომ იგი „დაიღალა პოტსდამის შეთანხმებაზე დაუსრულებელი მითითებებით". მაგრამ მან ბრიტანეთის წინადადებისა და საბჭოთა შესწორების საწინააღმდეგო ვერაფერი სთქვა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ბრიტანეთის წინადადებათა მე-19 პუნქტი საბჭოთა შესწორებასთან ერთად პრინციპულად მიღებულ იქნა და სარედაქციო კომიტეტს გადაეცა.

ამრიგად, გერმანიის მეურნეობის უმთავრესად ქვანახშირის მრეწველობით, სოფლის მეურნეობით და სხვ. შეზღუდვის ცდა წარმატებით ვერ დამთავრდა. საბჭოთა დელეგაციამ მიაღწია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ფართო პერსპექტივებს ქმნის როგორც დამმუშავებელი, ისე მომპოვებელი მრეწველობის განვითარებისათვის გერმანიაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნათელია, თუ რამდენად დაუშვებელია მრეწველობის განვითარების შეფერხება, რასაც ადგილი აქვს ინგლისურ და ამერიკულ ზონაში.

სად მიდის გერმანიის ქვანახშირის ექსპორტით მიღებული შემოსავალი?

ბრიტანეთის წინადადებათა მე-20 პუნქტში, რომელიც ამის შემდეგ განიხილეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ნათქვამია:

„იმპორტის მხრივ გერმანიის მოსახლეობის საჭიროების დასაფარავად კონტროლის გამწევ სახელმწიფოთა მიერ ავანსად გაცემული თანხების გადახდა იქნება გერმანიის პირველი რიგის ვალდებულება, რომელიც დაფარულ უნდა იქნას უცხოეთის ვალუტით გერმანიის რესურსების ხარჯზე მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებულ იქნება მისი საარსებო საჭიროებანი. კონტროლის გამწევი სახელმწიფოები გერმანიის სათანადო ცენტრალურ ადმინისტრაციას 1947 წლის 30 ივნისისათვის წარუდგენენ შეთანხმებულ უწყისს, რომელშიც აღნიშნული იქნება ყველა თანხა, რაც მათ ამ კარის მიხედვით ერგებათ. კუთვნილი თანხების გამოანგარიშებისას ისინი მთლიანად შეიტანენ გერმანიის კრედიტში მთელ ექსპორტს ან ექსპორტით მიღებულ თანხებს, რაც მათ მიღებული ექნებათ გერმანიის მიმდინარე პროდუქციისა და მარაგის ხარჯზე, მიუხედავად იმისა, ეს ექსპორტი თავდაპირველად მოხსენიებული იყო თუ არა რეპარაციების განყოფილებაში. ეს უწყისი წარდგენილი უნდა იქნას 1947 წლის 30 სექტემბრისათვის".

მოლოტოვმა აღნიშნა, რომ განსახილველ პუნქტში მთელი რიგი საეჭვო დებულებებია. უწინარეს ყოვლისა, იგი შეეხო გერმანიის პროდუქციის ექსპორტის საკითხზე.

ცნობილია, — სთქვა მან, — რომ ამჟამად გერმანიიდან გააქვთ უმთავრესად ქვანახშირი. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევენ ის ციფრები, რომლებიც მოყვანილია რურის ქვანახშირის ამოღების თაობაზე ინგლის-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელიც ამა წლის 10 სექტემბერს გამოქვეყნდა. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ ტონა ქვანახშირის თვითღირებულება ინგლისურ ზონაში ამჟამად შეადგენს 32 მარკას. გერმანელებს კი ტონაში 15,75 მარკას უხდიან. ყოველ ტონა ქვანახშირზე გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. ამის შედეგად — როგორც აღნიშნულია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში — გერმანელებმა მარტო 1947 წლის 30 ივნისამდე ინგლის-ამერიკის ზონაში ქვანახშირის ამოღებაზე იზარალეს 1.800 მილიონი რაიხსმარკა. ეს ძალიერ დიდი თანხაა, — აღნიშნა მოლოტოვმა. — განა შეუძლიათ გერმანიის ბიუჯეტს და გერმანიის მრეწველობას აიტანონ ასეთი მდგომარეობა?

მეორე მხრივ, რურის ერთი ტონა საექსპორტო ქვანახშირის (ე. ი. იმ ქვანახშირის, რომლის ამოღებაც ინგლისურ ზონაში სწარმოებს) გასაყიდი ფასი უკანასკნელ დრომდე იყო 10 დოლარი (გაგზავნის ნავსადგურში), ხოლო 1947 წლის 1 იანვრამდე ეს საექსპორტო ფასი შეადგენდა მხოლოდ 9 ამერიკულ დოლარს მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ქვანახშირის საექსპორტო ფასი გაცილებით უფრო მაღალია.

ფასების ასეთი შეფარდებისას, — ხაზგასმით აღნიშნა მოლოტოვმა, — იქმნება სიძნელენი გერმანიაში ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის.

საჭიროა დავაყენოთ ასეთი კითხვა, — სთქვა მოლოტოვმა, — განა ძალიან დიდ მოგებას არ იღებენ შუამავლები, რომლებსაც გერმანიის ქვანახშირი გააქვთ. გამოდის ისე, რომ გერმანიის საექსპორტო ქვანახშირისაგან მიღებულ მთავარ შემოსავალს — ყოველ შემთხვევაში რურის ქვანახშირის საექსპორტო ფასის ამაღლებამდე — იღებდნენ სწორედ ეს შუამავლები, რომელთა საშუალებითაც იყიდებოდა ქვანახშირი ინგლისურ ზონაში. ხომ არ შეიძლება რამდენადმე შემცირებულ იქნას ამ შუამავლების მოგება, რათა ამ გზით გადიდდეს ამ ქვანახშირის მწარმოებელთა შემოსავალი? — იკითხა მოლოტოვმა. — მაშინ გერმანიაში ქვანახშირის ამოღება გადიდდებოდა.

რობერტსონის (ინგლისი), ბევინისა და მარშალის მიერ ამ საკითხის გამო გაკეთებულ განმარტებებს საჭირო სიცხადე არ შეუტანია საკითხში.

სხდომის ვადის დამთავრების გამო აღნიშნული საკითხის განხილვა გადატანილ იქნა შემდეგი დღისათვის.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის კომუნიკე

ჩრდილო. შენსი, 12 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მიერ გამოქვეყნებულ № 16 კომუნიკეში ნათქვამია, რომ ხენან-შენსი-ხუბეის ფრონტზე მოქმედმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გასული თვის განმავლობაში მოსპო, დახოცა და ტყვედ წამოიყვანა 12.169 გომინდანელი ჯარისკაცი და 15 სამაზრო ქალაქი გაათავისუფლა.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეტევა ამ ფრონტზე ორ პერიოდად იყოფა. პირველ პერიოდში — 1-11 ნოემბრამდე სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიპყრო 8 სამაზრო ქალაქი და მწყობრიდან გამოიყვანა 5.700 გომინდანელი ჯარისკაცი.

მეორე პერიოდი გრძელდებოდა 17-დან 26 ნოემბრამდე, როცა სახალხო-განმათავისუფლებელი არმია შეიჭრა ხენანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. სახალხო-განმათავისუფლებელმა ჯარებმა დაიკავეს 8 სამაზრო ქალაქი, ჩაშალეს მე-20 გომინდანური დივიზიის შეტევა ფანჩენის რაიონში და გარს შემოერტყნენ გომინდანურ სამხედრო და პოლიტიკურ ცენტრ ნანიანს, რომელიც ლოიანის სამხრეთით მდებარეობს.

დავლად წამოღებულია 31 საარტილერიო ქვემეხი, 232 ტყვიამფრქვევი, 6.224 შაშხანა და რევოლვერი, 10 სატვირთო მანქანა და 1.300 ათასი კეტი მარცვლეული.

საფრანგეთის ხელისუფალთა ახალი თვითნებობა

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). მარსელიდან ჩამოსული პირნი იუწყებიან საფრანგეთის ხელისუფალთა ახალი თვითნებობის შესახებ იმ სომხების მიმართ, რომელთაც საბჭოთა სომხეთში გამგზავრება სურთ.

მარსელში ამჟამად იმყოფება 400-ზე მეტი სომეხი ოჯახი, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ საფრანგეთის ყველა კუთხიდან. მათ ადრე მიიღეს სათანადო ნებართვა და ელოდებიან გემ „პობედაში" ჩასხდომას, რომელმაც ისინი საბჭოთა ნავსადგურში უნდა მიიყვანოს.

მაგრამ ახლა საფრანგეთის ხელისუფალნი უარს არ ამბობენ საფრანგეთიდან წასვლის ნებართვა მისცენ მშობლებს, ხოლო ასეთ ნებართვას მცირეწლოვან ბავშვებს არ აძლევენ.

დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღშფოთებულია „ნორვეგარის გმირთა" ასეთი ახალი არაადამიანური მოქმედებით, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად არ ერიდებიან მშობელთა გრძნობით საზიზღარ სპეკულაციას.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ხელშეკრულების დადების გამო

ამა წლის ივლისში მოსკოვს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ორივე მოკავშირე ქვეყანას შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებისა და ამ მიზნით ხუთი წლის ვადით საქონლის ურთიერთ მიწოდების თაობაზე შეთანხმების დადების საჭიროების შესახებ.

ამის შესაბამისად და საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაციის მოლაპარაკების შედეგად ამა წლის 11 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის 1948-1952 წლების პერიოდისათვის.

ამ შეთანხმებით დადგენილია საქონლის ურთიერთ მიწოდების მტკიცე კონტინგენტები 1948 წლისათვის, აგრეთვე საქონელბრუნვის ოდენობა შემდგომი ოთხი წლისათვის. მიწოდებათა საერთო ღირებულება თვითეული მხარის მიერ 1949-1952 წლების პერიოდში შეადგენს წლიურად დაახლოებით 5 მილიარდ ჩეხოსლოვაკიურ კრონას, ამასთან ორივე მთავრობა ეცდება წლითიწლობით გაადიდოს საქონელბრუნვის აღნიშნული ოდენობა.

საბჭოთა კავშირი 1948 წელს ჩეხოსლოვაკიას მიაწოდებს სასურსათო და საკვებ მარცვლეულს, ბამბას, სასუქებს, ნავთის პროდუქტებს, რკინის, მარგანეცისა და ქრომის მადანს, თუჯს, ფეროშენადნობებს და სხვა ნედლეულს, რაც საჭიროა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობისათვის.

თავის მხრივ ჩეხოსლოვაკია საბჭოთა კავშირს 1948 წელს მიაწოდებს ნავთის სორტამენტის მილებსა და რელსებს, ენერგოძალოვან და სამრეწველო მოწყობილობას, აგრეთვე შაქარს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, ფურცლოვან მინას, ქიმიურ და სხვა საქონელს.

საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა ჩეხოსლოვაკიის სიძნელე — თავისი შემხვედრი მიწოდებებით გადაიხადოს საბჭოთა კავშირთან მისთვის მიწოდებული საქონლის მთელი რაოდენობა — და დათანხმდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მისცეს მოკლევადიანი კრედიტი.

მხარეებმა ამავე დროს დადეს ხელშეკრულება ვაჭრობასა და ნაოსნობაზე, ნაცვლად 1935 წლის 25 მარტის მოქმედებული სავაჭრო ხელშეკრულებისა. ახალი ხელშეკრულება ემყარება უმეტესი მფარველობის პრინციპის ურთიერთ გამოყენებას ყველა იმ საკითხში, რომელიც ორივე მხარის ეკონომიურ ურთიერთობას ეხება.

აგრეთვე დადებულია შეთანხმება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ შეთანხმებებსა და ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა და ჩეხოსლოვაკიის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა გ. რიპკამ და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ი. გორაკმა.

11 დეკემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი გ. რიპკა.

ბულგარეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

სოფია, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დილით სახალხო კრებამ დაამტკიცა პრემიერ-მინისტრ გ. მ. დიმიტროვის მიერ შედგენილი ახალი მთავრობის შემადგენლობა:

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გიორგი დიმიტროვი; პრემიერ-მინისტრის მოადგილეები — ტრაიჩო კოსტოვი, ვასილ კოლაროვი, კიმონ გეორგიევი, გიორგი ტრაიკოვი და გიორგი პოპოვი; სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — დობრი ტერპეშევი; სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩანკოვი; მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე — ვილკო ჩერვენკოვი; საგარეო საქმეთა მინისტრი — ვასილ კოლაროვი; შინაგან საქმეთა მინისტრი — ანტონ იუგოვი; სამხედრო მინისტრი —გენერალ-ლეიტენანტი გიორგი დამიანოვი; ფინანსთა მინისტრი — ივანე სტეფანოვი; იუსტიციის მინისტრი — რადი ნაიდენოვი; განათლების მინისტრი — კირილე დრამალიევი; ვაჭრობისა და სურსათის მინისტრი — კრისტიუ დობრევი; მიწათმოქმედების მინისტრი — გიორგი ტრაიკოვი; მშენებლობისა და გზათა მინისტრი — მანოლ სიკელაროვი; კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მინისტრი — პეტრე კამენოვი; რკინიგზის, საავტომობილო და წყლის გზების მინისტრი — სტეფანე ტონჩევი; ფოსტის, ტელეგრაფისა და ტელეფონის მინისტრი — ცოლა დრაგოიჩევა; მრეწველობისა და შინამრეწველური წარმოების მინისტრი — პეტკო კუნინი; ელექტროფიკაციისა და მელიორაციის მინისტრი — კიმონ გეორგიევი; ბუნებრივი სიმდიდრის მინისტრი — ვასილ პავურჯიევი; სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ტრაიჩო დობროსლავსკი; შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — ზდრავკო მიტოვსკი.

ამრიგად, ახალ მთავრობაში შევიდნენ: 14 კომუნისტი, 5 ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის წევრი, 2 „რგოლის" კავშირის წევრი და 2 სოციალ-დემოკრატი.

მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ გამოვიდა პრემიერ-მინისტრი გიორგი დიმიტროვი. „ახალი მთავრობა, — სთქვა მან,—წარმოადგენს სამამულო ფრონტის განახლებულ მთავრობას. მაშასადამე, მისი წინანდელი დეკლარაცია კვლავ ძალაშია".

ბულგარული პრესა ბულგარეთის ახალი მთავრობის შესახებ

სოფია, 12 დეკემბერი. (საკდესი). ცენტრალური გაზეთები დღეს მოწინავე სტატიებს უძღვნიან სამამულო ფრონტის ახალ მთავრობას, რომელიც გუშინ დილით სახალხო კრებამ დაამტკიცა.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულია არა იმიტომ, რომ ბულგარეთის პოლიტიკურ ან სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომწიფდა კრიზისი, როგორც ეს ხშირად მოსდით ხოლმე ეგრეთწოდებული დასავლეთის დემოკრატიების კაბინეტებს. ბულგარეთის ახალი მთავრობა შედეგია სახალხო დემოკრატიის ორგანული განვითარებისა, რომელმაც ესოდენ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სახალხო რესპუბლიკის ამას წინათ მიღებული კონსტიტუციით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ სამამულო ფრონტის თვალსაჩინო მოღვაწეები, და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ისინი განახორციელებენ ახალ კონსტიტუციას. მთავრობა, რომელსაც გ. მ. დიმიტროვი მეთაურობს, — სწერს გაზეთი, — გამოხატავს ბულგარელი ხალხის მტკიცე ნებას უფრო სწრაფად იაროს წინ ყოველმხრივი განვითარებისაკენ, სახალხო დემოკრატიისაკენ, სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური აყვავებისაკენ, ყოველი სახის ექსპლოატაციის ლიკვიდაციისაკენ და ბულგარეთის ეროვნული დამოუკიდებლობის უფრო მეტად განმტკიცებისაკენ.

სხვა გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ახალი მთავრობის შემადგენლობამ და მისმა ჩამოყალიბებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს მეგობრობა, ძმობა და ერთობა, რომლებიც სამამულო ფრონტის პარტიებს შორის არსებობენ.

კავამ-ეს-სალტანეს გადადგომა

თეირანი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ირანის მეჯლისის 9 დეკემბრის არაოფიციალურ სხდომაზე გამოქვეყნდა კავამ-ეს-სალტანეს თხოვნა— 14 დეკემბრამდე განაგრძოთ მეჯლისში მისი გამოცხადებისა და ნდობის ვოტუმის განხილვა. ამის გამო მეჯლისის კულუარებში აცხადებდნენ, რომ კავამ-ეს-სალტანე ვადის გადადებას თხოულობს იმ იმედით, რომ წინასწარ მოელაპარაკება ირანში ამერიკის ელჩ ალენს, რომლის თეირანს დაბრუნებასაც ამ დღეებში მოელიან.

კავამ-ეს-სალტანეს თხოვნის გამოქვეყნების შემდეგ მეჯლისის თავმჯდომარემ ჰეკმათმა განაცხადა აგრეთვე, რომ მას აქვს მეჯლისის ოპოზიციური უმრავლესობის განცხადება (ხელმოწერილი დაახლოებით 60 დეპუტატის მიერ), რომელიც უარს ამბობს მხარი დაუჭიროს კავამ-ეს-სალტანეს მთავრობას. ჰეკმათმა ამასთან დასძინა, რომ თუ კავამ-ეს-სალტანე 10 დეკემბერს მეჯლისში არ გამოცხადდა, მაშინ იგი, ჰეკმათი, მოიქცევა „კანონიერი მოვალეობის თანახმად, რათა ბოლო მოეღოს კრიზისს".

გუშინ კავამ-ეს-სალტანე მეჯლისის სხდომაზე გამოვიდა. ნდობის ვოტუმისათვის კენჭისყრის შედეგად კავამ-ეს-სალტანემ ვერ მიიღო პრემიერ-მინისტრის პორტფელის შესანარჩუნებლად საჭირო მეჯლისის ხმების უმრავლესობა. 112 დამსწრე დეპუტატთაგან 46 დეპუტატმა ხმა მისცა კავამ-ეს-სალტანეს მთავრობას, 39 დეპუტატმა — წინააღმდეგ, 27 დეპუტატმა, უმთავრესად ჰეკმათის მომხრეებმა, თავი შეიკავა.

ვილსონის განცხადება თემთა პალატაში ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 11 დეკემბერი, (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა 11 დეკემბერს თემთა პალატაში ტაშის გრიალში განაცხადა, რომ ინგლისი დიდძალ მარცვლეულს მიიღებს რუსეთის 1947 წლის მოსავლიდან ინგლის-საბჭოთა კავშირის ახალი სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად.

პალატა ახალი ტაშით მიესალმა ვილსონის ცნობას, რომ მიღწეულია პრინციპული შეთანხმება „ყველა განსახილველ საკითხზე". ვილსონმა სთქვა, არც ერთი მხარე ფასს მტკიცე ან დეფიციტური ვალუტით არ გადაიხდის.

მარცვლეულის მიწოდების კონტრაქტი შეიცავს შეთანხმებას რაოდენობის, ფასებისა და დაწვრილებითი პირობების შესახებ.

ინგლისიდან გარკვეული საქონლის დაუყოვნებლივი მიწოდების დამატებით მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საიმპორტო ორგანიზაციებს შეუძლიათ კონტრაქტები დასდონ სათანადო ინგლისურ ფირმებთან ინგლისიდან მანქანების მოწყობილობის მიწოდების შესახებ.

„ჩვენ აგრეთვე შევთანხმდით, — განაგრძო ვილსონმა, — რომ მომავალი წლის მაისში შესდგება შემდგომი მოლაპარაკება, რათა მომზადებულ იქნას გრძელვადიანი შეთანხმებანი მრავალი საქონლის მიწოდების შესახებ, რაც ითვალისწინებს ვაჭრობის ბალანსირებულ პროგრამას ორ ქვეყანას შორის. ჩვენი ამოცანა ის იყო, რომ დიდი ხნით უზრუნველგვეყო წონასწორობა ვაჭრობასა და ფინანსურ გარიგებებში ჩვენს ორ ქვეყანას შორის".

ვილსონმა დასძინა, რომ მოლაპარაკება მეგობრულ ატმოსფეროში სწარმოებდა.

ვილსონმა უპასუხა კითხვებზე და განაცხადა, რომ მიღწეულ იქნა პრინციპული თანხმობა ინგლისის იმ კრედიტის გადახდის პირობებზე, რომელიც მიცემულია 1941 წელს [illegible] გაეყვნდება.

ლეიბორისტთა ტაშის გრიალში ვილსონმა განაცხადა, რომ საბჭოთა ვიცე-პრემიერმა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ანასტას მიქოიანმა მას უთხრა: როცა კონტრაქტები ხელმოწერილი იქნება, 2-3 კვირის შემდეგ მარცვლეული გატანად მზად იქნება შავი ზღვის ნავსადგურებში.

კონსერვატიული ოპოზიციის ლიდერის მოადგილე ანტონი იდენი მხურვალედ მიესალმა შეთანხმებას.

ვილსონმა უპასუხა პალატის წევრის კითხვაზე და განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს საკმაოდ ფართოდ იყო განხილული საკითხი საშენი ხე-ტყის მიწოდების შესახებ, მაგრამ არ გამოუჩენია მისწრაფება დაუყოვნებლივ ედო შეთანხმება, იმიტომ რომ, სხვა რამის და, ის ნავსადგურები, სადაც სწარმოებს საშენი ხე-ტყის დატვირთვა, უკვე გაყინულია. როცა მოლაპარაკება განახლდება მომავალი წლის მაისში, მაშინ აღიძვრება საკითხი საშენი ხე-ტყის შესახებ, და მთავრობას იმედი აქვს მიაღწიოს დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას საშენი ხე-ტყის ისეთი რაოდენობის მიწოდებაზე, რომლის შეიძლება გამოყოფილ იქნას.

ვილსონმა განაცხადა, რომ კონტრაქტი მზად არის და პირობებიც შეთანხმებულია. მე ეხება მხოლოდ რაოდენობისა და ფ საკითხის მოგვარებას. ვილსონმა სთქვა, ახლა ინგლისის ელჩი საბჭოთა წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებს იმ ოფიციალური თანხმების პირობებს, რომელიც, როგორც ვე მხარე იმედოვნებს, ხელმოსაწერად მზად ნება ახლო მომავალში მარცვლეულისა და გი ინგლისური საქონლის მიწოდების კონტრაქტებთან ერთად.

რომის შრომის პალატის კომუნიკე

რომი, 12 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ანსას სააგენტო გადმოგვცემს, რომის შრომის პალატამ შემდეგი კომუნიკე გამოაქვეყნა:

„რომის შრომის პალატის აღმასრულებელმა კომისიამ, რომელიც 1947 წლის 11 დეკემბერს შეიკრიბა, ცნობად მიიღო მთავრობის წარმომადგენელთა და შრომის პალატის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი დელეგაციის მოლაპარაკების შედეგები და არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია იმ ასიგნებათა თანხა, რაც დაწესებულია მთავრობის მიერ განსაკუთრებით რომის მიდამოებში გადაუდებელ საზამთრო სამუშაოთა დასაფინანსებლად, რადგან ამ სამუშაოთა მოცულობა საშუალებას არ მოგვცემს გამოვიყენოთ საკმაო რაოდენობის მუშახელი და ვერ გააუმჯობესებს რომის მიდამოების მცხოვრებთა საარსებო პირობებს. ამასთან დაკავშირებით შრომის პალატა თავის გადაწყვეტილებას არ სცვლის.

შრომის პალატა ენერგიულ პროტესტს დებს იმ პირწმინდა ფაშისტური მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც მთავრობა იყენებს ფიცვის შეწყვეტის ამაო ცდისათვის, მი ბა ყველა მშრომელს, რომლებიც დისციპლინებულ ბრძოლაში მონაწილეობენ; მად უძღვნის ყველა მოქალაქეს, კერძოდ ვაჭ რომლებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს შვერებს; შრომის პალატა ამჟღავნებს ქრის ნული დემოკრატების პროფკავშირების ერთი ხელმძღვანელის საქმიანობას, რომლ დასახმარებლად პოლიცია მოიწვია; მოით დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის უფრო გვარ ღონისძიებებს პროფკავშირულ და მოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად".

საყოველთაო გაფიცვა რომში

რომი, 12 დეკემბერი. (საკდესი). საყოველთაო გაფიცვა რომში გუშინ დილიდან დედაქალაქის ყველა საწარმოს მოედო. სახელმწიფო მოხელეთა მხოლოდ ერთი ნაწილი გამოეხმაურა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის რჩევას — მუშაობა არ შესწყვიტოთ. ძირითად სახელმწიფო დაწესებულებებს ქალაქის ცენტრში იცავდნენ მოტორიზებული პოლიციის პატრულები, რომლებიც შეიარაღებული არიან ტყვიამფრქვევებით.

შინაგან საქმეთა მინისტრ შელბას ბრძანებით პოლიცია ცდილობს პროვოკაცია მოუწყოს გაფიცულებს. დააპატიმრეს წესრიგის სამსახურის, შრომის პალატის ბევრი წევრი და საგაფიცვო პიკეტების მონაწილენი. ჯარებმა, რომლებიც გამოწვეულია პოლიციის დასახმარებლად, გაფიცულთა კოლონების შეჩერებას რომ ცდილობდა პარლამენტის შენობის მახლობ უარი სთქვეს მშრომელთა წინააღმდეგ გასვლაზე და ემხრობოდნენ გაფიცულებს. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ფარგლებს სრული სიმშვიდეა. ამ რაიონებში პოლიც არის, ყველა სავაჭრო და სანახაობის დაწესე ლება დახურულია, ქუჩები ცარიელია. ქა გარეუბნებში გაფიცულებმა ბლოკადა მო რომისაკენ მიმავალი გზების მაგისტრალებ

რომი, 12 დეკემბერი, (საკდესი). რომის დიო გადმოგვცემს, რომ დღეს გრძელდება საყოველთაო გაფიცვა რომსა და პროვინციაში.

დილით პიაცა კოლონაზე შეტაკება მოხდა გაფიცულებსა და პოლიციას შორის. პოლ სროლა ასტეხა. პიეტრო ნენი ამის გამო მინისტრ შელბას შეეკითხა დამფუძნებელ კ ში.

კომუნისტების გამარჯვება ჰავრის მუნიციპალიტეტის არჩევნებში

პარიზი, 10 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთები აქვეყნებენ ჰავრის მუნიციპალიტეტის 1947 წლის 7 დეკემბერს შემდგარ არჩევნებში კენჭისყრის შედეგებს. გაზეთი „ლუმანიტე" ჰავრში კენჭისყრის შედეგებს აფასებს როგორც კომუნისტების გამარჯვებას.

„ჩვენმა პარტიამ, — სწერს გაზეთი, — ჰავრში მიიღო მიცემული ხმების 40 პროცენტი, მოიგო 1.000 ახალი ხმა, მაშინ როდესაც დეგოლელებმა 1.500 ხმა დაჰკარგეს. მუშათა კლასმა ცხადად დაადასტურა იმათი პოლიტიკა, ვინც მას იცავს".

ჰავრში კენჭისყრის შედეგებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში მარსელ კაშენი გაზეთ „ლუმანიტეში" სწერს: „არჩევნები ჰავრში ფრანგების საბოლოო პასუხია მისტერ დალესისადმი. იგი ჩვენთან ჩამოვიდა, რათა გათიშვა შეეტანა ფრანგებს შორის. ჩვენი ხალხი მას უყვირის: „უკან! ჰავრი არ უნდა ამერი ნავსადგური იყოს. საფრანგეთი არ უნდა კო ნია იყოს. ამ დიდმა ქალაქმა კომ ტებს თავისი ხმების 40 პროცენტი მისცა".

შემდეგ, სწერს გაზეთი, საზღვარგარეთე მუდამ შეეცდებიან შეამცირონ ჩვენი პარ მნიშვნელობა.

6 დეკემბერს დილით, განაგრძობს კა დანიელ მეიერმა ეროვნულ კრებაში გან და: ჩვენ განვასხვავებთ მუშათა კლასსა და კ ნისტურ პარტიას, რაზეც მორის ტორეზმა ყოვნებლივ უპასუხა: მუშათა კლასი სწ კომუნისტურ პარტიას უცხადებს ნდობას.

ამას ჩვენ მომავალ არჩევნებში დავანახ უპასუხა მას სოციალისტმა მინისტრმა.

„მაშ ასე! ჰავრში მომხდარი არჩევნების დეგები საკმაოდ დამაჯერებელია თუ არა?" — იძლევა დასასრულ შეკითხვას მარსელ კა

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილ

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, პედაგოგებისათვის შესდგება დოცენტ **მრევლიშვილის** ლექცია თემაზე: **„მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები".**

15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება **ამხ. კალანდაძისა** და **ამხ. გაბილაიას** კონსულტაცია ფილოსოფიაში.

თეატრებში

14 დეკემბერს: ფალიაშვილის სახელობის— „აბესალომ და ეთერი"; **რუსთაველის სახელობის** — „ღრმა ფესვები"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო"; **გრიბოედოვის სახელობის** — „რღვევა"; **მუსიკალური კომედიის** — „როზ-მარი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**— „წითელი ყელსახვევი"; **რუსული**— „მშვენიერი ვასილისა".

კინოებში

14 დეკემბერს: **რუსთაველის სახელობის** და **„ოქტომბერი"** — „აკაკის აკვანი"; **„ამირანი"** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა"; **„კომკავშირელი"** — „მშვენიერი ვასილისა"; **„სპარტაკი"** — „სილვა"; **26 კომისრის სახელობის** — „დარიკო" (I დარბაზი), „ლენინი ოქტომბერში" (II დარბაზი); **„კოლმეურნე"** — „არშინ მალ ალან".

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 23 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (მარის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ გოგბეჯიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მეზონის ერთფოტონიანი დაშლა სკალარული თეორიის მიხედვით".**

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. მამასახლისოვი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. პოლიევქტოვ-ნიკოლაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 24 დეკემბერს, დღის 1 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ანასტასია კასრაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ალ. ნამორაძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **ვ. გაბაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 23 დეკემბერს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე **გრიგოლ მოსეს-ძე იმნაიშვილი** ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს თემაზე: **„ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **ვ. თოფურია**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ვ. ფანჩვიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ხ. ჯიქია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სამუშაო საათებში ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

დირექცია

თბილისის სამალარიო-ტროპიკული სადგურის თანამშრომლები იუწყებიან **დავით ივანეს-ძე ფალავანდიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი იუწყება **გიორგი ვარდიაშვილის** გარდაცვალებას.

დედა კესარია, მამა სიმონი, დები ნინ ლოლა, ბაბა, ძმები ალექსი და გიორ სურგულაძეები, სიძეები ბოჩოროვი, და ვილაშვილი იუწყებიან **ენვერ სიმონის-ძე სურგულაძის** გარდაცვალებას.

ძმა ილიასი, რძალი ლიო, ძმისწული რა იუწყებიან **ისკანდერ ალიას-ძე გვარ ოღლის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩქ ში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრო-ტექნიკური ფაკულტე დეკანატი და მე-3 კურსის სტუდენ იუწყებიან **ენვერ სიმონის-ძე სურგულა** გარდაცვალებას.

მშობლები თომა და პელაგია ბოჯგუა შვილებით და შვილიშვილებით იუწყებ **შალვა თომას-ძე ბოჯგუას** გარდაცვალე დაკრძალვა 16-XII სოფ. ზანაში (ცხ აიას რ.).

დოროთე, დომნა, ლუბა, შალვა, კოკო ცხალავები, ნიკო ჭავჭანიძე, სერგო ოჯახებით იუწყებიან მამის და ბაბუ **ალექსი ეგნატეს-ძე ფირცხალავას** გარ ცვალებას. დაკრძალვა 16-XII მათხოჯში.

ანჟელა, ივანე, არჩილ, შურა, ელისა შვილები იუწყებიან ექიმ **თორნიკე კონსტ ტინეს-ძე ბეგიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII ქუთაისში.

არტემ ბოჯგუა ოჯახით იუწყება შალვა თო **მას-ძე ბოჯგუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XII ს. ზანაში (ცხაკაიას რ.).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნო—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110.000

უე 10937